საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭიბებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 12 ივლისი. 2018 წ. №141 (8542), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

შეკითხვა „ქართულ ოცნებას“

როდის დაინტერესდება ხელისუფლება, თუ რა ხდება სსიპ-ებსა და (ა)აიპ-ებში?

4

დღეს საქართველოს საჯარო სამსახურში 283 ათასი ადამიანია დასაქმებული

ენით ნაკბენი გველის ნაკბენზე სასიკვდილოა!

„სახალხო ჭორი“ თუ მალინა ბერიკაშვილის თაღლითური სქემა

5

„უნამუსობაა, რაც კახეთში ხდება.

უფლება რომ მქონდეს, ყველას, ვინც დენს გვითიშავს, ხელებს დავუხვრეტდი“

6



პატრიარქი ხადაში მომხდარი მკვლელობის გამო ამერიკელ ხალხს უსამძიმრებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ილია მეორე სოფელ ხადაში მომხდარი მკვლელობის გამო ამერიკელ ხალხსა და გარდაცვლილთა ოჯახის ახლობლებს უსამძიმრებს.

— 6 ივლისს სოფელ ხადაში დატრიალებულმა უბედურებამ ჩვენი საზოგადოება შეძრა. მსოფლიოშიც და ჩვენს ქვეყანაშიც გახშირებული მძიმე დანაშაულების მიუხედავად, ხალხს მწვავე რეაქცია ჰქონდა, რადგან ტრაგედიის მსხვერპლი იყო მთელი ოჯახი, მითუმეტეს, სტუმრად მყოფი ოჯახი. ვუერთდები საერთო განწყობას და საქართველოს ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას მომხდარის გამო და გთხოვთ, ჩვენი სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, მათ ახლობლებსა და ამერიკელ ხალხს...

ეკოლოგია - უმძიმესი გამოწვევა!

საქართველოში აიკრძალება დაბალი სტანდარტების მანქანების იმპორტი და გამკაცრდება მოთხოვნები ტექნიკურ დათვალიერებაზე, — ამის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ დაამუშავა ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები, რომლებიც მოკლე ვადაში საშუალებას მოგვცემს, ეკოლოგიის მიმართულებით მნიშვნელოვანი შედეგები მივიღოთ. თითოეულმა ჩვენგანმა ვიცით, რომ ეკოლოგია დღეს ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოწვევაა.

— მინდა, ეს მიმართულებები ჩამოგითვალოთ, რომელზეც აქცენტს გავაკეთებთ. პირველ რიგში, ეს არის საწვავის ხარისხის გაზრდა. ამასთან ერთად, საქართველოში აიკრძალება დაბალი სტანდარტების მანქანების იმპორტი და გამკაცრდება მოთხოვნები ტექნიკურ დათვალიერებაზე. მასშტაბური ცვლილებები შევა სამშენებლო სამუშაოების წარმოებისა და საქალაქო ტრანსპორტის სტანდარტის გაუმჯობესების კუთხით. ეტაპობრივად, სრულად მოხდება ე.წ. ყვითელი ავტობუსების ჩანაცვლება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვმუშაობთ ერთობლივ სტრატეგიაზე თბილისის მერიასთან ერთად და ივლისის ბოლომდე გავაკეთებთ ამ ძალიან მასშტაბური სტრატეგიის პრეზენტაციას, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სახელმწიფო უწყებების ავტოპარკი 1000 ავტომობილით შემცირდება!

აღნიშნული ავტომობილები რეალიზაციისთვის ფინანსთა სამინისტროს გადაეცემა და მათ მაგივრად მოხდება სპეციალური ავტომანქანების შეძენა პატრულისთვის, გარემოს დაცვითი ოპერაციებისთვის და მსგავსი სპეციალური საჭიროებებისთვის, რათა ამ ორგანოებმა უკეთესად შეძლონ ფუნქციონირება.

„წინა ბრიფინგის დროს განვაცხადე, რომ ხარჯი, რომელიც გარკვეულ სტრუქტურებში გვაქვს სახელმწიფო ავტოპარკის შენახვასთან დაკავშირებით, არის მიუღებელი და ამ კუთხით პრინციპული ნაბიჯებია გადასადგმელი.

— ეს არის პირველი ნაბიჯი და ჩვენ აუცილებლად მოვაყოლებთ სხვა ინიციატივებს, რომელიც გულისხმობს ერთიანი პარკისა და მისი მენეჯმენტის შექმნის იდეას“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის ახალი შემადგენლობა დღეს დასახელდება

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მთავრობის ახალი შემადგენლობა დილის 10:00 საათზე დასახელდება — საგანგებო ბრიფინგზე გამოცხადდება მინისტრობის 10 კანდიდატისა და 1 სახელმწიფო მინისტრის ვინაობა.

ჭუბერელებს ზარალი სრულად აუნაზღაურდებათ!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, ჭუბერში სტიქიამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვის აუცილებლობა.

მან ასევე ჭუბერში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულ მოხალისეებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ყველა დაზარალებულს ზარალი აუნაზღაურდება. ამ დრომდე ჭუბერში მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაოები და მოკლე დროში სრულად აღვადგენთ ინფრასტრუქტურას“...

პრემიერ-მინისტრი იანოშ ჰერმანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ევროკავშირის ელჩს საქართველოში იანოშ ჰერმანს შეხვდა, რომელიც ქვეყანაში დიპლომატიურ საქმიანობას ასრულებს.

მხარეებმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დღის წესრიგი განიხილეს და ხაზი გაუსვეს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ პროგრესს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან ქვეყნის ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

რეფორმები, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა, აგრეთვე არსებული ინიციატივები ევროკავშირის მხრიდან პოზიტიურად შეფასდა. ითქვა, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, რაც თავის მხრივ, ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის ტემპს გაზრდის.

აგრეთვე, როგორც პრემიერ-მინისტრთან გამართული შეხვედრისას იანოშ ჰერმანმა განაცხადა, ევროკავშირი საქართველოში უსაფრთხოების მიმართულებითაც იწყებს პროგრამების განხორციელებას.

შალვა თადუმაძე მთავარი პროკურორი იქნება!

მთავარი პროკურორის პოსტზე საპროკურორო საბჭომ შალვა თადუმაძე აირჩია. საბჭოს წევრებმა თადუმაძე ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, 12 –არც ერთის წინააღმდეგ აირჩიეს. კენჭისყრა ფარულად გაიმართა. საპროკურორო საბჭოს 15 წევრიდან 13 ესწრებოდა, აქედან კენჭისყრის პროცედურაში მონაწილეობა არ მიიღო იუსტიციის მინისტრმა. შერჩეულ კანდიდატს იუსტიციის მინისტრი მთავრობას დაუყოვნებლივ წარუდგენს, საბოლოოდ კი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს პროკურორი.

საბჭომ დღეს ორი კანდიდატის – შალვა თადუმაძის და ნინო გოგნიაშვილის მიერ პროკურატურის განვითარების და რეფორმირების სტრატეგია მოისმინა.

სამი კანდიდატი იყო წარდგენილი, თუმცა საბჭოსთან შეხვედრამდე „ევროპული საქართველოს“ მიერ წარდგენილმა კანდიდატმა შალვა შავგულიძემ კანდიდატურა მოხსნა.

პროცედურის მიხედვით, საბჭო შერჩეულ კანდიდატს მთავრობას გადაუგზავნის, განხილვის შემდეგ კი მთავარი პროკურორობის კანდიდატი დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება.

რევაზ არველაძე: ვერ ვხედავ, რა დააშავა წულუკიანმა ამისთანა, რომ ამხელა ამბები აგორდა!..

უმრავლესობის წევრის რევაზ არველაძის განცხადებით, ის სამოქალაქო სექტორისა და ოპოზიციის პრეტენზიებს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მიმართ არ იზიარებს. მისივე თქმით, ეკონომიკური გუნდის ცვლილება მისთვის მისაღებია.

„ის ტემპები, რომელიც იყო აქამდე, რომელზეც თითქოს, ვლაპარაკობდით, რომ ყველაზე კარგია ჩვენს არეალში, სამეზობლოში, მე ეს ნამდვილად არ მაკმაყოფილებს. თუ გვინდა, რომ საქართველო როდესმე ჩადგეს განვითარებული ქვეყნების რიგებში, დღეს უნდა იყოს ორციფრიანი ზრდის ტემპები.

ვარ იურისტი, მაგრამ არ მინდა, ამ მიმართულებით რაიმე კომენტარები გავაკეთოთ, მაგრამ მე ვერ ვხედავ, რა დააშავა წულუკიანმა ამისთანა, რომ ამხელა ამბები აგორდა, ის ხომ სათავეში უდგას რეფორმებს. მე ასე ვთვლი, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია“, – განაცხადა რევაზ არველაძემ.

ანა დოლიძე GEORGIAN AIRWAYS-ის წინააღმდეგ

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ქართული ავიაციის „ფლაგმანს“ მომსახურების ხარისხს უწუნებს. ანა დოლიძე სოციალურ ქსელში Georgian Airways-ის შესახებ წერს, რომელმაც მგზავრებს აეროპორტში მოუწესრიგებელი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაახვედრა, სადაც სრული ანტისანიტარია სუფევდა.

„დღეს დილას ჩამოვფრინდი სომხეთიდან საინტერესო შთაბეჭდილებებით. თუმცა დამხვდა კიდევ ერთი საბუთი, რატომ არის ყველანაირი მონოპოლია და დაუმსახურებელი პრივილეგია ბაზარზე არასწორი: „აირზენამ“ დაგვახვედრა ავტობუსი, რომლითაც ალბათ ვარსქენ პიტიახში სარგებლობდა: არ იღებოდა ფანჯრები, სკამებს ჰქონდა აბლაბუდები და გაკემსილი გვერდები, აგლეჯილი დასაჯდომები კონდიციონერზე არც კი გვიოცნებია. ეკოლოგიურად სისუფთავეს აღარ ვიტყვი. ჰოდა, მეგობრებო, თუ გინდათ ბაზარზე ლიდერობა, ასეთი სტანდარტებით შორს ვერ წახვალთ“, – წერს ანა დოლიძე სოციალურ ქსელში და საკუთარ პოსტს ფოტოებსაც ურთავს.

მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება...

ლენტეხის მერის ბადრი ლიპარტელიანის განცხადებით, სოფელ ზესხოში ხანძრის გაჩენა, სავარაუდოდ, მეხის ჩამოვარდნამ გამოიწვია და ხანძარის გამო მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება, რადგან ის დასახლებულ პუნქტთან ახლოს არ არის.

შეგახსენებთ, რომ ლენტეხში, სოფელ ზესხოდან რამდენიმე კილომეტრში ტყის მასივს ცეცხლი უკიდია. გუშინდელი მონაცემებით, დამწვარია 2.5 ჰექტარი ფართობი. ცეცხლის ჩაქრობის სამუშაოებში კი 120 მეხანძრე-მაშველია ჩართული.

ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუცია „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა

რეზოლუცია „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით მიიღო, ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს. მიუხედავად, ყველა ეტაპზე რუსეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობებისა, პარტნირების მხარდაჭერით, ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ აბსოლუტური უმრავლესობით რეზოლუცია „10 წელი აგვისტოს ომის შემდეგ“ მიიღო, – აცხადებს საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა. **„მადლობას ვუხდი ჩვენი რეზოლუციის თანაინიციატორებს: ამერიკის შეერთებულ შტატების, კანადის, გერმანიის, ნორვეგიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ლატვიის, ლიეტუვას და რუმინეთის დელეგაციებს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება შევძელით“,** – განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის ინიცირებული რეზოლუციის მიხედვით, ევროპის საპარლამენტო ასამბლეა რუსეთის ფედერაციას საქართველოს ტერიტორიებიდან სამხედრო ძალების გაყვანის და 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულებისკენ მოუწოდებს. ასამბლეა ასევე გმობს საქართველოს მოქალაქეების ტატუნაშვილის, ოთხოზორიასა და ბაშარულის მკვლელობებს და რუსეთის ფედერაციისგან კატეგორიულად მოითხოვს, არ შეუშალოს ხელი საგამოძიებო პროცედურებს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად და ხელი შეუწყოს სამართლის აღსრულებას. რეზოლუციაში ასახულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სადამკვირვებლო მექანიზმების დაშვების აუცილებლობა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებზე ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების საჭიროება. ევროპის საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ორგანიზაციას, გააძლიეროს ძალისხმევა სადამკვირვებლო მისიის სრულად აღდგენისთვის.

რუსეთის დელეგაციამ ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სხდომათა დარბაზი დატოვა

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სხდომათა დარბაზი რუსეთის დელეგაციამ ანტირუსულ რეზოლუციაზე ხმის მიცემის რეგლამენტის დარღვევის გამო დატოვა. ამის შესახებ რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა პეტრე ტოლსტოიმ განაცხადა.

„სამდივნოსა და ევროპის წარმომადგენლების მხრიდან რეგლამენტის უხეში დარღვევის გამო ჩვენ სხდომათა დარბაზი დავტოვეთ, რუსეთის დელეგაცია მივიჩნევთ, რომ რიგი დეპუტატების, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუციის ავტორებისა და თანაავტორების სხდომაზე არ ყოფნა არ იყო სათანადოდ გაფორმებული“, – აცხადებს ტოლსტოი.

კალაძემ მშენებლებს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა გააცნო

თბილისის მერმა კახა კალაძემ სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებს დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა გააცნო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებმა თბილისის მერს საკუთარი მოსაზრებები გააცნეს.

თბილისის მერის მოადგილის მაია ბითაძის განცხადებით დედაქალაქის მერია მუდმივად ღია და გამჭვირვალე იქნება და ყველა იმ სამართლიან შენიშვნას მიიღებს, რომელიც შესაძლოა, სერვისების მიწოდების ნაწილში არსებობდეს.

„სამშენებლო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე თბილისის მერმა გენერალური გეგმის პროექტი წარადგინა. განვიხილეთ ასევე, ის ძირითადი გამოწვევები, რაც ქალაქის განვითარების მიმართულებით არსებობს. სამომავლო ღონისძიებები ერთობლივად დავგეგმეთ, მათ შორის, კანონმდებლობის ფორმირებისა და სერვისების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მერია მუდმივად ღია და გამჭვირვალე იქნება – მიიღებს ყველა იმ სამართლიან შენიშვნას, რომელიც სერვისების მიწოდების ნაწილში შეიძლება არსებობდეს. შევჯერდით, რომ გენერალური გეგმა, რომელიც თბილისის საკრებულომ უნდა დაამტკიცოს, ის ფუძემდებლური დოკუმენტი იქნება, რომლის სწორი გამოყენება ქალაქის განვითარების წინაპირობა უნდა იყოს“, – განაცხადა მაია ბითაძემ.

დედაქალაქის მერიაში გამართულ შეხვედრას 50-მდე ორგანიზაციის, მათ შორის, მენაშენეთა ასოციაციის 35 წევრი და არაწევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ძალიან კარგი შეხვედრა იყო. გავეცანით გენერალურ გეგმას და ვიმსჯელეთ ყველა იმ საკითხზე, რომელიც დეველოპერების ინტერესის საგანს წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ ის შენიშვნები, რაც გვაქვს, მერიას წერილობითი სახით წარვუდგინოთ. არსებობს ბევრი პრობლემა, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, რომ ტენდენცია უკეთესობისკენ მიდის“, – განაცხადა მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი როსტომაშვილმა.

სწავლულთა აღიარება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, 2018 წელს გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიები მიენიჭათ:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის აკადემიური პრემია **5000** ლარის ოდენობით მიენიჭოს კომპლექსური მონოგრაფია **„კლარჯეთის“** ავტორთა ჯგუფს: პროფესორებს — **მამია ფაღავას** (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი), **მალხაზ ჩოხარაძეს** (პროექტის კოორდინატორი), **მერი ცინცაძეს, თინა შიოშვილს, შოთა მამულაძეს, რამაზ ხალვაშს, ნუგზარ მგელაძეს**; ასოცირებულ პროფესორებს — **ზაზა შაშიკაძეს, მაია ბარამიძეს, ჯემალ კარალიძეს**.

2. ილია ვეკუას სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით მიენიჭოს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **როლანდ დუდუჩავას** და ფიზიკა-მათემატიკის დოქტორ **თენგიზ ბუჩუკურს** ნაშრომთა ციკლისათვის **„მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა არეებში არაგლუვი საზღვრით“**.

3. გიორგი ციციშვილის სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით მიენიჭოს პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლებს: აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **ვლადიმერ ციციშვილს,** ქიმიის მეცნ. დოქტ. **ნანული დოლაბერიძეს,** ქიმიის მეცნ. კანდ. **მანანა ნიჟარაძეს** და **ნატო მირძველს** ნაშრომთა ციკლისათვის **„ცეოლითების სინთეზი საქართველოს ბუნებრივი ალუმინსილიკატური ნედლეულიდან“**.

4. ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით მიენიჭოს გეოლოგიის მეცნ. დოქტ.: **ვ.ბ. ბაბაზადეს** (აზერბაიჯანი), **ს. კეკელიას, შ.ფ. აბდულაევას** (აზერბაიჯანი), გეოლოგიის მეცნ. კანდ. ნ. კეკელიას მონოგრაფიებისათვის **„კუნძულთა რკალის პალეოსისტემების ოქროსშემცველი სულფიდური საბადოები, მათი მეტალოგენიური თავისებურებანი და გეოდინამიკური განვითარების პირობები“, „ალპურ-ჰიმალაიური ნაოჭასარტყლის ცენტრალური სეგმენტის მადნიანი საბადოები და მათი გენეზისის პრობლემები“**

5. ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით მიენიჭოს პროფესორ **რამაზ ხეცურიანს** ნაშრომისათვის **„ადამიანის ანატომია“** (ორტომეული).

6. პეტრე ქომეთიანის სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით მიენიჭოს აკადემიკოს **დავით მიქელაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის **„ნერვულ უჯრედებში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების რეგულაცია ნორმასა და პათოლოგიაში“** (2014-2017 წწ.).

7. კორნელი კეკელიძის სახელობის აკადემიური პრემია **3000** ლარის ოდენობით ნაშრომისათვის **„ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“** მიენიჭოს ავტორ **ილია აბულაძეს, რედაქტორებს — მაია რაფავას, ციალა ქურციკიძეს, ელენე ცაგარეიშვილს.**

დავით უსუფაშვილი: შავი პიარი, მესამე პოლიტიკური ორბიტა და „ქოც-ნაცური იდილია“

რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში საუბარი შეეხო „შენების მოძრაობის“ ლიდერს დავით უსუფაშვილს. საუბარი იყო მისი ავტორობით რამდენიმე წლის წინათ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ პიარ სტატიაზე. შეგახსენებთ, ეს ის პერიოდია, როცა დავით უსუფაშვილი „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრი იყო. ამასთან, ამავე გადაცემაში საუბარი შეეხო უსუფაშვილის პოლიტიკურ მომავალს და ღია წერილს, რომელშიც „შენების მოძრაობის“ ლიდერი ქვეყნის პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების წინ „პოლიტიკურ თანამშრომლობას“ სთავაზობს. ამ ინიციატივას უსუფაშვილის წინააღმდეგ კრიტიკა მოჰყვა, უფრო მეტიც უსუფაშვილ-მარგველაშვილ-კვირიკაშვილის შესაძლო პოლიტიკური ტრიო უპერსპექტივოდაც მოინათლა.

ამასთან დაკავშირებით „მეტრონომი“ დაინტერესდა და დაუკავშირდა **დავით უსუფაშვილს.** „შენების მოძრაობის“ ლიდერს ორი კითხვა დავუსვით.

„მეტრონომი“: — რას ნიშნავს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული პიარის ავტორი იყო დავით უსუფაშვილი, რა იყო ამ პიარის გამოქვეყნების ანატომია და რას ემსახურება დღეს ამ თემის წამოწევა?

დავით უსუფაშვილი: — წვრილად მოგახსენებთ საერთაშორისო „ნიუ-იორკ თაიმსში“ ჩემი წერილის გამოქვეყნების მიზეზზეც, მიზანზეც, შინაარსზეც და პროცესზეც. ამ ტექსტის კითხვით დროის დაკარგვას არ ვურჩევ მათ, ვისთვისაც ჭეშმარიტების წყარო მიხეილ სააკაშვილის სიტყვაა, ხოლო ეროვნული ინტერესების საზომი — ნაცმოძრაობის ინტერესები.

მიზეზი — 2014 წლის ზაფხულის მდგომარეობით წამყვან საერთაშორისო წრეებში ჯერ კიდევ დიდი იყო მიხეილ სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის“ და მათი უცხოელი პარტნიორების პროპაგანდის გავლენა 2012 წელს მომხდარი ცვლილების აღქმაზე. ამ პროპაგანდისტული ნარატივის მიხედვით, სააკაშვილი პუტინმა დაამარცხა ივანიშვილის მეშვეობით, რომელიც „ოცნების“ გუნდთან ერთად, ანუ ჩემთან ერთადაც ახორციელებდა პუტინის პროექტს საქართველოს ნატოსგან, ევროპისგან, აშშ-სგან დისტანცირებისა და მისი რუსულ ორბიტაზე დაბრუნებისთვის. ამგვარი კითხვები და ეჭვები ქვეყანას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა ევროკავშირთან ასოცირების, ნატოსთან დაახლოების და, ზოგადად, დასავლური ინტეგრაციის პროცესში. თემა განსაკუთრებით გამძაფრდა სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, რაც საღდებოდა როგორც პუტინის ვენდეტა განხორციელებული ქართველი პუტინისტების მიერ.

მიზანი — ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დასაჩქარებლად საჭირო იყო საერთაშორისო წრეებში უსაფუძვლო კითხვების და ეჭვების გაფანტვა სწორედ ივანიშვილთან დაკავშირებით, რომელიც აღარ იყო ოფიციალურ თანამდებობაზე, მაგრამ „ოცნებას“ შინაარსობრივად სწორად ერქვა „ივანიშვილის ხელისუფლება“ და გასაფანტი უსაფუძვლო ეჭვებიც სწორედ მას უკავშირდებოდა და არა, მაგალითად, მე ან საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძეს.

შინაარსი — წერილში ერთადერთი თემაა გაშლილი და ვინც თავად წერილი წაიკითხა, და არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ კომენტარები ამ წერილზე, ყველა დამეთანხმება. ეს არის მსჯელობა და არგუმენტები ივანიშვილის „ქართველობაზე“ და არა „რუსობაზე“, საქართველოს სამსახურის მცდელობაზე და არა რუსეთის სამსახურის მცდელობაზე. მათ შორის, 2003-2008 წლების განმავლობაში ივანიშვილის მჭიდრო თანამშრომლობაზე თავად სააკაშვილთან და მის სერიოზულ ფინანსურ წვლილზე ქართული არმიის ნატოსთან თანამშრომლობისთვის მოსამზადებლად, ანუ მისი „არაპუტინისტობის“ დასტურზე.

პროცესი — მე დამიკავშირდნენ მთავრობის ადმინისტრაციიდან და მკითხეს, ხომ არ შემეძლო ხსენებულ პრობლემას შევხმიანებოდი ჩემი წერილით, რომლის რომელიმე უცხოურ გამოცემაში გამოქვეყნებას თავად უზრუნველყოფდნენ. დავთანხმდი და დავწერე წერილი, რომელიც შემდეგ „ნიუ-იორკ თაიმსში“ ვიხილე. ეს იყო და ეს.

მეტრონომი: — **თქვენს ბოლო ღია წერილს, რომელშიც თქვენ მარგველაშვილთან თანამშრომლობის ინიციატივა გამოთქვით, საკმაოდ დიდი კრიტიკა მოჰყვა. ასეთი ინტერესი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ არც „ოცნების“ და არც „ნაცმოძრაობის“ ბანაკს არ აწყობს მოსალოდნელი ალიანსი არჩევნების წინ, მითუმეტეს, თუკი საუბარი მიდის კვირიკაშვილის ტრიოში თანამონაწილეობაზეც?**

დავით უსუფაშვილი: — ქოც-ნაცური იდილიის დარღვევა და მესამე პოლიტიკური ორბიტის გაჩენა მიუღებელია ორივე მხარისთვის. ნაცებისთვის განსაკუთრებით გამაღიზიანებელია მათგან არაკონტროლირებადი პოლიტიკური ძალის ამოზრდა პროდასავლურ ფლანგზე, რომელიც თავის ექსკლუზიურ ტერიტორიად მიაჩნიათ. ამიტომ, სრულიად ადვილი ასახსნელია მათი დღევანდელი რეაქციებიც და ხვალინდელი შავი პიარის ნიაღვარიც. მეორე მხრივ, დღევანდელი „ოცნება“ და პირადად ივანიშვილი ყველაზე უფრო მტკივნეულად რეაგირებენ ყოფილი „ოცნებელების“ კრიტიკაზე, განსაკუთრებით, „ოცნების“ სადამფუძნებლო პრინციპების, ღირებულებებისა და დაპირებების შეხსენებაზე. ამიტომ, არც მათგან არის მოსალოდნელი ბრძოლა წესებით. მოკლედ, მოცემულობაა, რომ ჩვენი პროექტი ორცეცხლშუაა, ისევე, როგორც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა...

ნაცები და „ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ!

„ევროპული საქართველო“ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ სამ ძირითად პუნქტზე შეთანხმდნენ.

ამის შესახებ განცხადება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგი უგულავამ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

მისი თქმით, შეთანხმება ითვალისწინებს იმასაც, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გასულ ერთმანეთის საპრეზიდენტო კანდიდატებს პარტიები მხარს დაუჭერენ.

„ბრიუსელში, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრეზიდენტ ჯოზეფ დოულთან ერთად, ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ 3 ძირითად პუნქტზე: 1. მხარს დავუჭერთ მეორე ტურში გასულ ერთმანეთის საპრეზიდენტო კანდიდატებს (რომელიც გავა); 2. კამპანიის დროს თავს შევიკავებთ ერთმანეთზე შეტევისა და კრიტიკისგან; 3. არჩევნების პირველ და მეორე ტურებში მაქსიმალურად მოვახდენთ ამომრჩევლის მობილიზებას, რადგან არჩევნებია ხელისუფლების შეცვლის გზა“, — წერს გიგი უგულავა.

შეკითხვა „ქართულ ოცნებას“

როდის დაინტერესდება ხელისუფლება, თუ რა ხდება სსიპ-ებსა და (ა)აიპ-ებში?

დღეს საქართველოს საჯარო სამსახურში 283 ათასი ადამიანია დასაქმებული

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ერთ-ერთი დაპირება ბიუროკრატიული აპარატის შემცირება იყო, თუმცა როგორც სხვა ბევრი დაპირება, ესეც შეუსრულებელი დარჩა.

ბიუჯეტის ხარჯზე დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის საეჭვო სურათი აშკარად ჩნდება სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების მაგალითზე.

ამ უწყებებში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ ბოლო წლებში 150.305- ს მიაღწია.

შტატგარეშედ დასაქმებულთა რაოდენობა კი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულთა რაოდენობას გაუტოლდა და 38,470-მდე გაიზარდა (თავდაცვის უწყებაში დასაქმებულთა რაოდენობა მაქსიმუმ 40 ათასია).

„კომერსანტი“ სვამს კითხვას: როდის დაინტერესდება ხელისუფლება, რა ხდება სსიპ-ებსა და (ა)აიპ-ებში, რატომ იზრდება კატასტროფულად თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ხელფასები, რომელიც მილიონობით ლარს შეადგენს?

ზემოთ დასახელებული რიცხვები ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა მამუკა ბახტაძე დაასახელა. მანამდე ეს მონაცემი მყარად იყო გასაიდუმლოებული.

მათ მოპოვებას არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დიდხანს ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. საჯარო უწყებების დიდმა ნაწილმა საჯარო ინფორმაციის გაცემა არ ისურვა.

მიუხედავად არასრული მონაცემებისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევიდან მაინც ჩანს, 2012 წლიდან 2017 წლამდე როგორ იზრდება სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ების, იქ დასაქმებულთა და მათი ხელფასების რაოდენობა:

2012 წელს 40 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში 8 870 საშტატო თანამშრომელი მუშაობდა, 2017 წელს კი უკვე 74 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში ეს რაოდენობა 12 632-მდეა გაზრდილი;

2012 წელს 38 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში 1 077 შტატგარეშე თანამშრომელი მუშაობდა, 2017 წელს მათმა რაოდენობამ 67 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ის ფარგლებში – 7 193 შეადგინა;

2012 წელს 45 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ის საშტატო თანამშრომლებმა ხელფასის სახით თითქმის 77 მლნ ლარი აიღეს, რაც 2016 წლისთვის 72 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ის შემთხვევაში 165 მლნ ლარს აჭარბებს;

2012 წელს 39 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში 29, 5 მლნ. ლარი გაიცა შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასის სახით, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 62 სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში კი თითქმის 51 მლნ ლარს გადააჭარბა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წამომადგენლები და ექსპერტები ხშირად მიანიშნებენ, რომ სსიპ-სა და ა(ა)იპ-ში ჩინოვნიკთა მხრიდან ნეპოტიზმსა და კორუფციულ გარიგებებს აქვს ადგილი. იმასაც ამბობენ, რომ ხშირად ამ უწყებაში პარტიაში შედგენილი სიებით ხდება თანამშრომელთა დანიშვნა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებს საჯარო ინფორმაციაზე რეაგირება ევალება, დღემდე არც ერთი განცხადებით არ დაინტერესებულან – რატომ?

2016 წლის 22 სექტემბერს გადაცემაში „შეხვედრები რეგიონულ მედიასთან“. ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ბიუროკრატია შემცირდა:

„თუ ბიუჯეტი იზრდება, როგორც წესი, ხარჯები უნდა გაიზარდოს ბიუროკრატიაზეც. რომ შეადაროთ, 2015 წლის ხარჯები ბევრად დაბალია, ვიდრე 2012 წლისა. ამ დროს ნახეთ და გაიხსენეთ, როგორი აჟიოტაჟი იყო პრემიებზე, რომ აი ძარცვავს ლამის ახალი ხელისუფლება, ამ დროს სახელისუფლებო სტრუქტურებში ბიუროკრატია შემცირდა 17 თუ 18 ათასით და ამ ფონზე 60 ათასით მეტი ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდა. ეს არის რეალობა და სტატისტიკა“.

თუმცა „კომერსანტის“ მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა საწინააღმდეგოს აჩვენებს.

ბიუროკრატიის შემცირება, „ქამრების შემოჭერა“ კოალიცია „ქართული ოცნების“ ყოფილი და მოქმედი პრემიერ-მინისტრებისთვის მიმზიდველი თემაა. პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ, რომელიც თანამდებობაზე 2018 წლის 20 ივნისს დაინიშნა, განაცხადა რომ მომდევნო წლების განმავლობაში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით საჯარო მოხელეთა ხელფასები 3.9%-ზე მაღალი არ უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ დიმიტრი ქუმსიშვილისა და გიორგი კვირიკაშვილის მიერ მიღებული 2018 წლის ბიუჯეტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით მთავრობის ხელფასების კიდევ უფრო დაბალ ნიშნულზე – 3.3%-ზე დაწევას ითვალისწინებდა.

ქვეყანაში მზარდ ბიუროკრატიას ხელფასს ბიზნეს-სექტორი უხდის. ბიუჯეტში აკრეფილი საგადასახადო შემოსავლებიდან ფული სამთავრობო მოხელეთა შენახვაზე იხარჯება. 20%-იანი საშემოსავლო გადასახადიდან 2018 წლის ბიუჯეტში **2.78 მილიარდი ლარის მობილიზებაა დაგეგმილი, ზრდა 8.1%-ია.**

ნინო ნატროშვილი

ერგნეთის 88-ე შეხვედრა – ტატუნაშვილის საქმე ისევ ბუნდოვანია

ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის ბოლო შეხვედრა 6 საათს გაგრძელდა. შეხვედრის მთავარ თემას კვლავ არჩილ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემა წარმოადგენდა.

მეორე თვეა, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დე ფაქტო ხელისუფლებისგან მოითხოვენ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემას სრულფასოვანი ექსპერტიზის ჩასატარებლად. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელმა ეგორ კოჩიევმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ის ვერსია, რომელსაც ოსური მხარე ტატუნაშვილის დაღუპვის პირველივე დღეებიდანვე ავითარებდა. კოჩიევის თქმით, ტატუნაშვილი გულის შეტევით გარდაიცვალა და ქართულ მხარეს ცხედართან და ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად შინაგანი ორგანოების ფრაგმენტებიც გადაეცა.

„საქართველოს ექსპერტიზამ ვერც ერთ კითხვას ამომწურავი პასუხი ვერ გასცა და იმის თქმა, რომ ტატუნაშვილი მოკლულია, ფაქტის დამახინჯებაა. ტატუნაშვილი დაიღუპა გულის შეტევით და მის ამ „წამებაზე“ არც ქართულმა და არც ოსურმა ექსპერტიზამ პასუხი არ გასცა.

გარდა ამისა კოჩიევს არ ესმის ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის მოტივაცია და საპასუხოდ, მისი თქმით, ცხინვალში მზადდება სია, რომელშიც ის ადამიანები შევლენ, რომლებმაც ერედვისა და ძარის ტრაგედიებში მიიღეს მონაწილეობა. ოსური მხარე ქართულ შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებს 90-იანი წლების კონფლიქტის დროს სოფლებთან ერედვთან და ძარასთან რამდენიმე ათეული ოსის მკვლელობაში ადანაშაულებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ირაკლი ანთაძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ტატუნაშვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემა საქართველოს ხელისუფლების მთავარ მოთხოვნად რჩება. მისი თქმით, შინაგანი ორგანოების ფრაგმენტების გადმოცემა სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარების საშუალებას არ იძლევა.

„ჩვენი მიზანია, ამომწურავი პასუხი გაეცეს ყველა კითხვას ტატუნაშვილთან მიმართებაში, გამოვლინდნენ და დაისაჯონ დამნაშავეები. სრულყოფილი ექსპერტიზის ჩატარებისთვის საკმარისი არ არის ფრაგმენტები. ჩვენთვის პრიორიტეტს წარმოადგენს შინაგანი ორგანოების გადმოცემის საკითხი“.

88-ე შეხვედრაზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტის თამარ მეარაყიშვილის უფლებების დაცვა მოითხოვეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მეარაყიშვილის წინააღმდეგ ორი საქმეა აღძრული დე ფაქტო მმართველი პარტიის „ედინნაი ოსეტიას“ მიმართ ცილისწამებისა და საბუთების გაყალბების მუხლებით. თამარ მეარაყიშვილი მიიჩნევს, რომ მას დე ფაქტო ხელისუფლება მისი საქმიანობის გამო დევნის და ყველა საქმე ხელოვნურად არის „შეკერილი“.

აგვისტოში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის წევრები დაისვენებენ, მორიგი შეხვედრა კი 14 სექტემბერს გაიმართება.

გოგა აფციაური

2500 ლარს ზემოთ არსებული ხელფასი შესაძლოა, 30 პროცენტით დაიბეგროს

2500 ლარს ზემოთ არსებული ხელფასი შესაძლოა, 30%-ით დაიბეგროს. ინიციატივის ავტორის გია ჟორჟოლიანის განცხადებით, დამატებითი ფინანსური რესურსის მოძიებისთვის, 2500 ლარის ზემოთ არსებული შემოსავალი 30%-ით უნდა დაიბეგროს, რაც ბიუჯეტს დამატებით ნახევარ მილიონ ლარს მოუტანს.

ჟორჟოლიანი მთავრობას მასწავლებლის ხელფასის 100 ლარით გაზრდის რეკომენდაციით მიმართავს. ჟორჟოლიანის განცხადებით, მაღალი შრომის ნაყოფიერების სექტორების განვითარების ხელშეწყობისთვის ფინანსური რესურსი უნდა გამოინახოს.

„ჩვენ უნდა შემოვიღოთ ახალი საგადასახადო სისტემა. ეს უნდა იყოს პროგრესული საგადასახადო სისტემა. ამას ხელს უშლის მთელი რიგი კანონები, მაგრამ არსებობს შესაძლებლობა, რომ მთავრობამ 3 წლით განახორციელოს ცვლილება, რაც გულისხმობს იმას, რომ გარკვეულ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ისევ დარჩეს 20%, ხოლო მის ზემოთ არსებულ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადი იყოს 30 პროცენტი“, – აცხადებს ჟორჟოლიანი.

„სახალისო ჭორი“ თუ მალინა ბერიკაშვილის თაღლითური სქემა

საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული აღმოჩნდა C ჰეპატიტის პროგრამა, რომლის წყალობით უამრავი სიცოცხლე შენარჩუნდა. თუმცა, ეს წარმატებული პროგრამა ეჭვის ქვეშ დააყენა თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის — „ფლორანს ნაითინგეილის“ დირექტორის ქართველმა მრჩეველმა მალინა ბერიკაშვილმა, რომელმაც fortuna.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, რომ ადამიანები, რომლებიც C ჰეპატიტის პროგრამით მკურნალობენ, „ფლორანს ნაითინგეილის“კლინიკაში სიმსივნის დიაგნოზით ჩადიან.

„ორგანოების გადანერგვით ვინც გადარჩა, გადარჩა, სხვები გარდაიცვალნენ, ზოგს ოპერაციამ ვერ უშველა... მანამდე ამ ადამიანებს არ ჰქონიათ სიმსივნე და ამ მკურნალობის შემდეგ განუვითარდათ. ყოველ შემთხვევაში, ანალიზები ასე აჩვენებს და კვლევა იყო არასწორი? არ ვიცი, პროგრამის წამლები იწვევს პროვოცირებას?! ამ პროგრამის წამლებს თურქეთშიც სვამენ და სიმსივნის დიაგნოზით შემდგომ არავინ მოდის ჩვენთან“, — ასეთია მალინა ბერეკაშვილის დასკვნა.

ცხადია, როდესაც ასეთ სკანდალურ განცხადებას აკეთებ და მით უფრო, როგორც თავად ამბობს წამყვანი კლინიკის დირექტორის მრჩეველი, სულ მცირე აუცილებლად უნდა გქონდეს მტკიცებულება იმისა, რომ C ჰეპატიტის პროგრამით მკურნალობა იწვევს სიმსივნით დაავადებას. ცხადია, ბერიკაშვილს ასეთი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. მეტიც, მას შემდეგ, რაც ბერიკაშვილის დაუსაბუთებელ განცხადებას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა, მან მოითხოვა ინტერვიუს იმ ნაწილის წაშლა, სადაც C ჰეპატიტის მავნე მხარეებზე საუბრობდა და ეს მასზე განხორციელებული ზეწოლით ახსნა.

ბერიკაშვილის დაუსაბუთებელ განცხადებას გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში და მათ შორის თურქეთში და კერძოდ, კლინიკა „ფლორანს ნაითინგეილის“ მიერ, სადაც როგორც თავად ამბობს, დირექტორის მრჩევლის თანამდებობა უკავია. საავადმყოფოდან მიღებულ წერილში აღნიშნულია, რომ ბერეკაშვილმა საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე გააკეთა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული განცხადებები, ხოლო თავად განცხადების ავტორს არ გააჩნია უწყებრივი კავშირი მოცემულ კლინიკასთან. საავადმყოფო შეწუხებულია იმის გამო, რომ მათმა სახელმა გაიჟღერა ამგვარ კონტექსტში.

მაშ ასე, „ფლორანს ნაითინგეილი“ ბერიკაშვილთან კავშირს უარყოფს, თუმცა თავად ბერიკაშვილი სოციალურ ქსელში წერს: „ახალი ჭორი, როგორ ვხალისობ უბრალოდ, არ იცით“.

სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველში თურქეთის საელჩომ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა და თურქეთშიც C ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოიყენება იგივე ტიპის მედიკამენტები.

„ბოლო პერიოდში მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ თურქეთის ჯანდაცვის სისტემის, თურქეთში სამკურნალოდ ჩასული ქართველი პაციენტების დიაგნოზისა და მკურნალობის, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხებზე დავეყრდნოთ მხოლოდ კომპეტენტური უწყებებისა და პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და უგულებელვყოთ, არასპეციალისტების მიერ გამოთქმული პირადი მოსაზრებები“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

ჯანდაცვის პროგრამების უფროსი ეკა ადამია ამბობს, რომ ეს პროგრამა მთელ მსოფლიოში უპრეცედენტოა და ამას მთელი საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს. მისი თქმით, პროგრამა არის უპრეცედენტო, წარმატებული და მხარდაჭერილი, როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, ისევე აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრების მიერ.

როგორც ადამია აცხადებს, საქართველოში დაახლოებით 150 ათასი ადამიანია დაავადებული C ჰეპატიტით, აქედან 50 ათასზე მეტია დარეგისტრირებული ელექტრონულ ბაზაში; 46 000-ზე მეტს დაწყებული აქვს მკურნალობა და მათ შორის 44 000-ზე მეტს აქვს დასრულებული. განკურნების მაჩვენებელი არის 98,2%. ანუ, რეალურად თითქმის 100%-მა დაამარცხა C ჰეპატიტი.

„ეს არის კონკრეტული ქალბატონის განცხადება და არა უწყების, ან ერთი მხარის. გარდა ამისა, თავად თურქეთის საელჩომ მოიძია და სთხოვა კლინიკას, რომელსაც თითქოსდა წარმოადგენს ეს ქალბატონი, მათ გამოაგზავნეს წერილი, სადაც არ ეთანხმებიან ამ განცხადებას. რაც შეეხება თავად განცხადებას, აბსოლუტურად დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არის არაკომპეტენტური, არ ეფუძნება არანაირ სტატისტიკას, არანაირ სამედიცინო გამოკვლევას, იმიტომ, რომ ძალიან არაკომპეტენტური რამ გაჟღერდა მის კომენტარებში“, — ამბობს ეკა ადამია.

მისი თქმით, შიშის და პანიკის საფუძველი საქართველოს მოსახლეობას არა აქვს. პირიქით, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც დაავადებული არიან C ჰეპატიტით, აქვთ შესაძლებლობა იმკურნალონ და დაამარცხონ C ჰეპატიტი. კითხვაზე, რა მოტივი ამოძრავებდა ბერიკაშვილს და მიმართავს თუ არა უწყება სასამართლოს, ჯანდაცვის პროგრამების უფროსი პასუხობს: **„მსგავსი განცხადებები ერთხელ მაინც რომ იყოს დასჯადი, შემდეგ სხვა ვერ გაბედავდა ასეთი ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებას. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ადამიანი არ წარმოადგენს არც ერთ უწყებას. რატომ გააკეთა ეს განცხადება, არ ვიცი, მაგრამ ჩვენი მოსახლეობა საკმაოდ გონიერია და მარტივად გაარკვევს, რა არის მართალი და დამატებითი აქტივობა საჭირო არ არის. მით უმეტეს, როდესაც ქალბატონმა მალინამ გააცნობიერა, რომ საკმაოდ არაკომპეტენტური განცხადება გააკეთა და მეორე დღესვე მოითხოვა C ჰეპატიტთან დაკავშირებით მისი კომენტარის წაშლა. თვითონვე მიხვდა, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, ძალიან მავნე ინფორმაცია გაავრცელა და თვითონვე დაიხია უკან“,** — აღნიშნა ეკა ადამიამ.

რა ინტერესი აქვს მალინა ბერიკაშვილს, როდესაც ცდილობს პაციენტების თურქეთის კლინიკაში გადაყვანას, რაც საკმაოდ დიდი თანხებთან არის დაკავშირებული? ამ გამხმაურებული საქმის შემდეგ, ძალიან ბევრი ადამიანი საუბრობს ბერიკაშვილის თაღლითურ სქემაზე. კერძოდ, როგორ და რა ნიშნით არჩევს ის პაციენტებს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ანალიტიკური სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ლატარია სოციალურ ქსელში ინფორმაციას ავრცელებს, სადაც წერს, რომ თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი კლინიკის, „ფლორანს ნაითინგეილის“ დირექტორის ქართველი მრჩეველი მალინა ბერიკაშვილი არის თაღლითი, რომელიც ქართველ პაციენტებს ატყავებს.

„ვიღაც მალინა ბერეკაშვილის ინტერვიუ იყო. ქალი ამოვარდა ყველაფრიდან, C ჰეპატიტის წამლებით ავადდება მთელი ერი კიბოთიო. გავარკვიე, ეგ ქალი ისეთი თაღლითი ყოფილა და ქართველ პაციენტებს ისეთ „მაყუთებს“ ახევს თურმე. ჯერ იყო თარჯიმანი და თურქებთან შეკრული, რომელიც ჩვენს გაჭირვებულ ქართველ პაციენტებს ჩვეულებრივ ატყავებდა.

ეჭვი მაქვს, ამ სტატიის შემდეგ მაინც მოუწევს, პასუხი აგოს ყველაფერზე, თან უმკაცრესად!!!

ფულის გამო ყველაფერზე რომ მიდიხართ, მაგაზე ცალკე მუხლი უნდა არსებობდეს და პირდაპირ ცეცხლის ისრებით დახვრეტას უნდა ითვალისწინებდეს!!! თან ქალი რას წერს, თუ თბილისში დალევ მაგ წამალს, კიბო გემართება, მაგრამ მათ კლინიკაში იგივე წამალი არ იწვევს უკუქმედებასო“.

კიდევ ერთი ისტორია, რომელიც ბერიკაშვილს უკავშირდება, ეს არის ახალგაზრდა ბ. ქ-ს საქმე, რომელმაც ავარიის შედეგად მძიმე ტრავმა მიიღო. ტრავმა იმდენად მძიმე იყო, რომ ოჯახს მისი განკურნებისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნდა, რადგან ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო. ამ ახლაგაზრდა ბიჭის მძიმე ისტორიაზე სპეციალური რეპორტაჟი მოამზადა ერთ-ერთმა ტელევიზიამ, სადაც დეტალურად იყო საუბარი ბ.ქ-ს ისტორიაზე. იმავე საღამოს, გადაცემის „ფეისბუქ გვერდზე“ მალინა ბერიკაშვილმა გამოთქვა სურვილი ოჯახთან დაკავშირებით. მათ შორის შედგა კომუნიკაცია, ოჯახმა მიიღო დაპირება, რომ მოხდებოდა მისი თურქეთში გადაყვანა და მკურნალობა, თუმცა ამ დაპირების შემდეგ, ბერიკაშვილმა ოჯახთან კავშირი გაწყვიტა. არაერთი მცდელობის მიუხედავად, მალინა ბერეკაშვილი კონტაქტზე არ გამოვიდა, ვინაიდან, ოჯახი სოციალურად დაუცველი იყო და პაციენტის გადაყვანა მისთვის ფინანსურად მომგებიანი არ იქნებოდა, როგორც სხვა შემთხვევაში.

თამთა ქარჩავა

ისინი მე არ დამიხოცავს, ორი უცხოელი მამაკაცი იყო და იმათ დახოცეს!

სმიტების ოჯახის მკვლელობისთვის დაკავებული ახალგაზრდის სასამართლო პროცესი გუშინ მცხეთის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა. სასამართლო დაკავებული მწყემსისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობდა.

ხადას ხეობაში მომხდარი საზარელი მკვლელობის შესახებ დაკავებულმა მწყემსმა მცხეთის სასამართლოში ისაუბრა. მალხაზ კობაური ამბობს: ისინი მე არ დამიხოცავს, ორი უცხოელი მამაკაცი იყო და იმათ დახოცეს. მე დამემუქრნენ, რომ ოჯახს ამომიწყვეტდნენ“, — განაცხადა კობაურმა.

გამოძიების ვერსიით, მალხაზ კობაურმა ჯერ რაინ სმიტი მოკლა, შემდეგ 4 წლის ბავშვს ესროლა.

საქმესთან დაკავშირებით პროკურორმა ვრცლად ისაუბრა. დავით ყაზარაშვილის განმარტებით, ხადას ხეობაში მკვლელობა 20 წლის მწყემსმა ურთიერთშელაპარაკების შემდეგ ჩაიდინა. ბრალდების მხარის თქმით, დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ხეობაში გადაადგილებისას, სავარაუდოდ, შენიშვნა მისცა მწყემსს სანადირო თოფთან დაკავშირებით...

გუშინვე, მცხეთის სასამართლომ სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე სასამართლო განხილვა 4 სექტემბერს დაიწყება.

სმიტების ოჯახის სამი წევრის მკვლელობაში ბრალდებულის მალხაზ კობაურის ადვოკატები მისი პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვდნენ.

როგორც ადვოკატმა ალუდა ბუჩუკურმა აღნიშნა, არ უნდა დაკმაყოფილდეს პროკურატურის შუამდგომლობა კობაურისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე.

ბრალდებულის მეორე ადვოკატმა მურმან ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ ბრალდება ერთ ჩვენებაზეა აგებული, რომელიც ბრალდებულს გაურკვეველ ვითარებაში აქვს მიცემული.

* * *

ხადას ხეობაში მომხდარი საზარელი მკვლელობის გამოძიებაში FBI-ც ჩაერთო. ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში ადასტურებენ. დიპლომატიური უწყება არ აკონკრეტებს რამდენი ხანია, რაც საგამოძიებო ბიურო გამოძიების პროცესში მონაწილეობს.

* * *

სმიტების ოჯახის წევრების მკვლელობის საქმის პროკურორის განცხადებით, ბრალდებულმა მალხაზ კობაურმა სამართალდამცველებს მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი თავად აპოვნინა. მისივე თქმით, კობაური ისეთ დეტალებზე საუბრობს, რომ შეუძლებელია ეს დეტალები ისეთმა პირმა იცოდეს, ვინც შემთხვევის ადგილზე, დანაშაულის მოხდენისას არ იმყოფებოდა.

„ჩვენ მოვისმინეთ, რომ თითქოს ბრალდებულს ვინმემ დააძალა, ოჯახის წევრებზე რაიმე სახის ძალადობის განხორციელების მუქარით, რომ დაებრალებინა დანაშაული. თუმცა აღსანიშნავია, რომ მალხაზ კობაურმა ისეთ დეტალებზე ისაუბრა გამოძიებასთან, რომელიც შეუძლებელია, იცოდეს პირმა, თუ ის ადგილზე არ იმყოფებოდა და უშულოდ არ ჩადიოდა დანაშაულს. კერძოდ, თუ როგორ მოკლა მამაკაცი, რომელსაც ჯერ ზურგში ესროლა და შემდეგ თავში, შემდგომ როგორ ესროლა ბავშვს, როგორ გამოეკიდა დედას და ა.შ. ეს ყველა დეტალი შეუძლებელია, იცოდეს იმ ადამიანმა, ვინც უშუალოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და ვინც არ ახორციელებდა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მით უმეტეს, რომ მას გააჩნდა ამის საშუალება, ჰქონდა თოფი და იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში“, — აღნიშნა პროკურორმა.

„უნამუსობაა, რაც კახეთში ხდება. უფლება რომ მქონდეს, ყველას, ვინც დენს გვითიშავს, ხელებს დავუხვრეტდი“



რა არის კახეთში ელექტროენერგიის ხშირი გათიშვის მიზეზი, მაშინ როცა რეგიონის ენერგოდისტრიბუციას „ენერგო პრო ჯორჯია“ მართავს. კომპანია მოსახლეობას დაჰპირდა, რომ კახეთის ენერგოდისტრიბუციას მომგებიან, მაღალი ხარისხის სადისტრიბუციო მომსახურების მიმწოდებლად აქცევდა.

კახეთის ენერგოდისტრიბუცია „ენერგო-პრო ჯორჯია“ საჯარო აუქციონზე 21.7 მილიონ ლარად იყიდა, შედეგად „ენერგო პრო ჯორჯიას“ ბაზრის წილი 60.2%-დან 64.6% -მდე გაიზარდა და თბილისის გარეთ ელექტროენერგიის ერთადერთი მიმწოდებელი გახდა.

ალექსი შალოშვილი, საოჯახო სასტუმრო „შალოშვილის მარანი“: „უნამუსობაა, რაც ხდება კახეთში. იარაღის ტარების უფლება რომ მქონდეს, ყველა იმ ადამიანს, ვინც დენს გვითიშავს, ხელებს დავუხვრეტდი. მე სასტუმროს მფლობელი ვარ და ასეთი ვითარების გამო, გასულ თვეში მომიწია ბანკში 10 ათასი დოლარის სესხი ამეღო და გენერატორი მეყიდა. კიდევ ვალი ამაღებინეს. არ ვიცი, ასე ყოველდღე რატომ ითიშება ელექტროენერგია. ზოგი ამბობს, ხალხი ბიტკოინს გამოიმუშავებსო, მაგრამ დანამდვილებით ვერ გეტყვით. ფაქტია, დენი ძალიან ხშირად მიდის. აი, მაგალითად გუშინ ერთიანად გამორთეს დენიც, წყალიც და გაზიც. როგორ უნდა ვამუშაო მე ჩემი სასტუმრო და როგორ უნდა განვავითარო ბიზნესი ასეთ მდგომარეობაში?!“.

როგორც ირკვევა, ალექსი შალოშვილის მსგავსად ასე კახეთში ძალიან ბევრი ფიქრობს. ბოლო პერიოდში რეგიონში, განსაკუთრებით კი ყვარელსა და თელავში, ელექტროენერგია ყოველდღიურად ითიშება. ამის შესახებ „კომერსანტს“ ინფორმაცია ადგილობრივმა მოსახლეობამ მიაწოდა. მათი თქმით, დღის განმავლობაში დენი 4-5-ჯერ ითიშება და ხშირად მოსახლეობა წყლის გარეშეც რჩება. როგორც ირკვევა, აღნიშნული პრობლემა ხელს უშლის რეგიონში ბიზნესის წარმოებასაც. კერძოდ, საოჯახო სასტუმროების დამფუძნებლები ჩვენთან საუბარში განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებენ ბოლო პერიოდში ტურისტების უკამყოფილების ზრდის ტენდენციაზე. ელექტროენერგიის გათიშვის რეალური მიზეზი დანამდვილებით არავინ იცის, თუმცა ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებით მთავარი წყარო — ბიტკოინია.

რა ხდება კახეთში? რატომ ითიშება დენი ყოველდღე და რა მიზეზებს უკავშირებენ ადგილობრივები არსებულ ვითარებას? რას ყვებიან მცირე ბიზნესის წარმომადგენლები? რა პოზიცია აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“? — „კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად მხარეებს დაუკავშირდა.

მაკა ნაცვლიშვილი, საოჯახო სასტუმრო „მიმინო“: — „ეს არის დიდი დისკომფორტი. მე პირადად როცა დენი არ მაქვს, წყალიც ავტომატურად მეთიშება, ანუ ვრჩები ყველაზე აუცილებელი პირობების გარეშე. საბოლოოდ ტურისტი გამოხატავს უკამყოფილებას და დღეს არა, მარგამ ხვალ შესაძლოა ამან ვიზიტორთა რაოდენობაც შეამციროს“.

მაგამე ცადიკოვი, „ქალიმჩას“ საოჯახო სასტუმრო: — „დღეში 5-ჯერ მაინც ითიშება დენი. ხან რამდენიმე წუთი, ხანაც რამდენიმე საათი ან მთელი ღამე. ჩემთვის, როგორც სასტუმროს მფლობელისთვის ეს არის უდიდესი პრობლემა, რადგან ითიშება ყველა მაცივარი, კონდიციონერი და ტურისტიც უკმაყოფილო ტოვებს თელავს. არ ვიცი რა არის ამ ყველაფრის მიზეზი; სხვადასხვა მოსაზრებაა. საუბრობენ მაინინგების გამომუშავებაზეც, მაგრამ ზუსტად არ ვიცი“.

ელექტროენერგიის ყოველდღიურად გათიშვას უარყოფენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიაში“. როგორც უწყებებში განგვიმარტეს, დენი ითიშება ეტაპობრივად რამდენიმე საათი უბნების მიხედვით, მაგრამ ამას არა აქვს პერმამენტული ხასიათი. რაც შეეხება ზოგად ვითარებას, საქმე ტექნიკურ სამუშაოებს ეხება.

„ელექტროენერგია ასე ხშირად ნამდვილად არ ითიშება, ამიტომ არ ვადასტურებ მოსახლეობის პოზიციას. რაც შეეხება ზოგად ტენდეციას, კახეთში ტარდება ტექნიკური სამუშაოები, რაც პერიოდულად იწვევს უბან-უბან დენის გათიშვასაც. მოგეხსენებათ, კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიას“ მძიმე მემკვიდრეობა დარჩა წინმორბედი კომპანიისგან და ახლა ამ ყველაფრის გამოსწორების პროცესშია“, — განმარტავს **კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ირაკლი ძადაგიშვილი**.

აღნიშნულს ადასტურებენ კომპანია „ენერგო პრო ჯორჯიაშიც“. როგორც **საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორმა ავთო დვალიშვილმა** ჩვეთან საუბარში აღნიშნა, კომპანია ერთი წელია, რაც რეგიონში შევიდა და დახვდა ტექნიკურად მძიმე ვითარება.

„პირველი ნახევარი წელი მარტო საქმის გადაბარებას დასჭირდა. ახლა დავიწყეთ ტექნიკური სამუშაოები — ძველი ბოძების ჩანაცვლება, ქსელების გამოცვლა და ა.შ. დენი უფრო ავარიის პერიოდში ითიშება, რაც ხშირად არ ხდება. რეალურად ვცდილობთ ელექტროენერგიის მიმართულებით განვაახლოთ მთელი კახეთი, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია მოსახლეობის პოზიცია. რაც შეეხება მაინინგების გამომუშავებას, ამას ვერ დავადასტურებ. მე არ ვიცი, სხვა ადამიანის სახლში რა ხდება. ზოგადად კი გეტყვით, რომ ელექტროენეგიის მოხმარება გაზრდილია მთელ საქართველოში, მაგრამ ეს ალბათ გახშირებული მშენებლობების გამო ხდება“, — განმარტავს დვალიშვილი.

კახეთის მსგავსად, ბოლო პერიოდში რომ ელექტროენერგიის მოხმარება მთელი ქვეყნის მასშტაბით არის გაზრდილი, ამას ადასტურებენ დარგის სპეციალისტებიც. **MT Rading-ის წარმომადგენელი საქართველოში დავით წიქარიძე** „კომერსანტთან“ არსებულ მძიმე მგომარეობაზე საუბრობს:

„სამწუხაროდ, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რომ თუნდაც კახეთში ელექტროენერგიის ხშირი გათიშვა დაკავშირებულია მაინინგების გამომუშავებასთან. ამის დამტკიცება რთულია, მაგრამ აქ არის ორი საეჭვო ვითარება: ერთი მხრივ, ბიტკოინების წარმოებას სჭირდება დიდი ენერგია, რის გამოც შესაძლოა, დენი გაითიშოს; მეორე მხრივ კი, მაგალითად, ზაფხულში, როცა იდეაში ჭარბი ენერგია უნდა გვქონდეს, ჩვენ მაინც ვყიდულობთ ელექტროენერგიას მეზობელი ქვეყნებიდან, რატომ?! შეუძლებელია, საქართველოს ზაფხულში ჰქონდეს ენერგიის დეფიციტი. ამ ყველაფრის გათვალსწინებით, ფაქტია, რაღაც ხდება. ეს შეიძლება იყოს ბიტკოინების წარმოებაც, შესაძლოა ქართული მხარე იყოს ელექტროენერგიის გადამყიდველი ან კიდევ რაიმე სხვა მიზეზი არსებობდეს“, — აცხადებს დავით წიქარიძე.

სალომე ლემონჯავა

უწყლობის გამო სოფელი სოფელს უპირისპირდება!

კახეთში წყლის დეფიციტია. სიღნაღის, გურჯაანის, თელავისა და ლაგოდეხის მოსახლეობის ნაწილს წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. იყო შემთხვევები, როდესაც წყლის გამო სოფელი სოფელს დაუპირისპირდა. რამდენიმედღიანმა უწყლობამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბეში ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, გვალვის გამო სოფელში წყლის დეფიციტი წარმოიშვა, დარჩენილი წყალი კი არა ბოდბეს, არამედ ქალაქ სიღნაღს მიეწოდება.

მათივე თქმით, უკვე სამი კვირაა, მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რადგან 40-გრადუსიანი სიცხის პირობებში წყალს სამ დღეში ერთხელ და ისიც 1 საათით იღებენ. ადგილობრივი გამგეობის თუ საკრებულოს მხრიდან იყო დაპირება, რომ პრობლემა მოგვარდებოდა, შედგა შეთანხმებაც, თუმცა უშედეგოდ.

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ განმარტავენ, რომ ბაღბოსტნების მოსარწყავად ზოგიერთები წყალს იტაცებენ, რის გამოც დანარჩენი მოსახლეობა ზარალდება.

აღშფოთებულ მოსახლეობასთან კომუნიკაცია სცადა „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სიღნაღის სერვისცენტრის წარმომადგენელმა. მისი განცხადებით, წყლის დებეტის პრობლემაა, რის გამოც 24-საათიანი წყალმომარაგება ვეღარ ხერხდება და კომპანია ჭაბურღილების დამატებას გეგმავს: **„ყოველდღიურად 110 კუბური მეტრი წყალი იქაჩება ბოდბეში, თუმცა არასაკმარისია. პრობლემის მოგვარება იგეგმება, გამოცხადებულია ტენდერი, რომლის მიხედვითაც 3 ჭაბურღილი დაემატება და პრობლემა მოიხსნება“.**

ქართულ ღვინოთა ადგილწარმოშობის დასახელებებს „ხაშმის საფერავი“ დაემატა

ეს გადაწყვეტილება მიუთითებს ქართული ღვინის მრავალფეროვნებასა და ჯიშურ სიმდიდრეზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდის კუთხით.

„ხაშმის საფერავის“ დამატება დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების რეესტრში, უზრუნველყოფს აღნიშნული დასახელების დაცვას საერთაშორისო მასშტაბით ყველა იმ ხელშეკრულებისა და კონვენციის საფუძველზე, რომელსაც საქართველო არის მიერთებული, ან ხელი აქვს მოწერილი.

„ხაშმის საფერავის“ დარეგისტრირების მოთხოვნით ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ განაცხადით გასულ წელს მიმართა, რასაც წინ უძღოდა სააგენტოსა და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთობლივი მუშაობა შესაბამისი წარმოების სპეციფიკაციების მომზადებისა და რეგისტრაციისთვის საჭირო სხვა დოკუმენტების მომზადების მიზნით.

„ხაშმის საფერავი“ (Saperavi Khashmi) — წითელი მშრალი ღვინო ხაშმის მიკროზონიდან, რომელიც მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში. ხაშმის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი მშრალი სუბტროპიკულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი კლიმატი, ყავისფერი კარბონატული ნიადაგები, საფერავის ჯიშის ვაზის მიერ ამ მიკროზონაში გამოვლენილი გამორჩეული თვისებები განსაზღვრავენ ღვინო „ხაშმის საფერავის“ განსაკუთრებულ ღირსებას. ისტორიული წყაროების თანახმად, ხაშმის ტერიტორიაზე ვენახის გაშენება თამარ მეფის სახელს უკავშირდება, რომლის ბრძანებით გაუშენებიათ აქ ვენახი დავით გარეჯელ ბერებს. ადგილობრივ მოსახლეობას საკმაოდ სწრაფად აუთვისებია ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები და საკმაოდ მაღალი ხარისხის ღვინოც უწარმოებიათ საფერავის ჯიშის ყურძნიდან.

ამ დრომდე საქართველოში დარეგისტრირებული იყო ქართული ღვინის 18 ადგილწარმოშობის დასახელება.

„იცნობდე მტერსა შენსა!“

ბოლო თვეების განმავლობაში ქართულ ინტერნეტ-სივრცეში საგრძნობლად გააქტიურდნენ ცალკეული პერსონები და პარალელურად სოკოებივით მრავლდებიან გაურკვეველი წარმომავლობის საიტები, რომლებიც დაჟინებით ავრცელებენ დეზინფორმაციასა და რუსულ ნარატივს, მათ შორის — საქართველოში ჩამოსული თურქების, ირანელების და სხვა უცხოელებისგან მტრის ხატის შესაქმნელად. არადა, როგორც ამას წინათ, გამოქვეყნებულმა ოფიციალურმა სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, ირანელები და თურქები საქართველოში არც მუდმივად საცხოვრებლად ჩამომსვლელთა, არც საკუთრების შემძენთა რაოდენობის კუთხით ლიდერობენ.

ავტორმა ანდრეი ნიკოლაევმა გამოაქვეყნა სათაურით „რატომ სურთ რუსებს ასე ძალიან „გაქართველება“? იგი წერს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის მიუხედავად, რუსები საქართველოში სიამოვნებით გადადიან საცხოვრებლად, საკუთრების შეძენის კუთხითაც ლიდერობენ და ბიზნესშიც ფართოდ არიან წარმოდგენილები, მათ შორის — მსხვილშიც, თუმცა ქართველების გაღიზიანებას არ იწვევენ, განსხვავებით თურქებისა და ირანელებისგან, რომლებიც „საკუთარ წესებს ამკვიდრებენ“ და „თბილისსა და ბათუმს კოლორიტს აკარგვინებენ“.

კერძოდ, ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის ივნისში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა 727,385 ვიზიტი აღირიცხა (ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13.8%-ია). საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტების რაოდენობამ 606,792 შეადგინა (ზრდა — 14.2%), ტურისტული ვიზიტების — 399,989 (ზრდა (20.7%). ამასთან, ყველაზე მეტი საერთაშორისო ვიზიტი რუსეთიდან (+27.5%), აზერბაიჯანიდან (+10%) და თურქეთიდან (+14.7%) განხორციელდა. ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვიზიტების ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ ნიდერლანდები (+73%), ჩეხეთი (+72%), გერმანია (+63.6%), საფრანგეთი (+44.3%), პოლონეთი (+36.7), გაერთიანებული სამეფო (+32.5%), იტალია (+27.2%) და სხვები. განსაკუთრებული ზრდა კი დაფიქსირდა საუდის არაბეთიდან (+955.5%), ქუვეითიდან (+395.8%), კორეის რესპუბლიკიდან (+192.8%), არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან (+159.3%), ჩინეთიდან (+92.3%), ბელარუსიდან (+56.9%).

საინტერესო სტატისტიკა გვაქვს საქართველოში საკუთრების შეძენის კუთხითაც: მიგრაციის საკითხთა სახელმწიფო კომისიის მონაცემებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში უცხოელების მიერ საკუთრების გაფორმების 37 024 შემთხვევა აღირიცხა, რომელთაგან 53%-ში ახალი მფლობელები რუსეთის მოქალაქეები გახდნენ. 5-5% მოდის უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებზე, 4% — ისრაელის, 3-3 % — აშშ—ის და საბერძნეთის, ხოლო 2-2% — გერმანიის, ირანის, ერაყისა და თურქეთის მოქალაქეებზე.

ამასთან, 2015-2016 წლებში საქართველოში ბინადრობის მოწმობა 46 581 უცხოელზე გაიცა, თუმცა შემთხვევების უმრავლესობაში ეს ქვეყანაში მუშაობის უფლებას უკავშირდება: შრომითი მიგრანტების წილი მთლიან რაოდენობაში 41%-ს შეადგენს და ამ მხრივ პირველ სამეულში თურქეთი, ინდოეთი და ჩინეთი მოხვდნენ.

საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლის მსურველთა რაოდენობა 19% შეადგენს. ძირითადად მთხოვნელები არიან რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოქალაქეები. კიდევ 16%-ს შეადგენენ სტუდენტები ინდოეთიდან, ერაყიდან, ნიგერიიდან და სხვა ქვეყნებიდან. 9%-ს კი ბინადრობის მოწმობები ოჯახების გაერთიანების მიზნით აქვთ აღებული და ამ მხრივ პირველ სამეულში თურქეთი, ირანი და აზერბაიჯანი შედიან.

ამგვარად, ყველაზე მეტი ვიზიტორიცა და მუდმივად საცხოვრებლად გადმოსულიც რუსეთიდან გვყავს, ყველაზე მეტ საკუთრებასაც რუსეთის მოქალაქეები იძენენ. რაც შეეხებათ თურქებსა და ირანელებს, ისინი მოწინავე პოზიციებს მხოლოდ შრომით მიგრანტებსა და ოჯახების გაერთიანების მიზნით ჩამოსულებს შორის იკავებენ.

და მიუხედავად ამისა, ვიღაც ძალიან ცდილობს, საქართველოში თურქებისა და ირანელების მიმართ ისტერია ააგოროს. თითქმის ყოველდღიურად გაურკვეველ წყაროებზე დაყრდნობით ვრცელდება „ფეიქები“ ირანელების ან თურქების მიერ ქართველი გოგონების ვითომდა გაუპატიურების, ქართველი ახალგაზრდების ვითომდა მკვლელობის, ირანელების ან თურქების მიერ ქრისტიანული სიწმინდეების ვითომდა შეურაცხყოფისა და უამრავი სხვა ვითომდა ჩადენილი დანაშაულების შესახებ, რომელთაგან შემდგომ არცერთი არ დასტურდება.

პარალელურად, რუსულ მედიაშიც მოხშირდა მასალები იმის შესახებ, თუ როგორ „უყვართ საქართველოში რუსები“ და როგორ „სძულთ ურჯულო თურქები და ირანელები“. ერთ-ერთი მსგავსი სტატია ამ დღეებში ცნობილმა კინოკრიტიკოსმა, ტურისტული სააგენტოს ფლობის შემთხვევაშიც კი საშუალო შემოსავლის მქონე რუსეთის მოქალაქისთვის პირდაპირი ინტერესია, აქ იცხოვროს და იმუშაოს. თანაც ბინის ან მცირე სასტუმროს ყიდვა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე წლობით საცხოვრისის ქირაობა.

ნიკოლაევი საქართველოში მსხვილი რუსული ბიზნესის არსებობაზეც ამახვილებს ყურადღებას:

— საქართველოში მხოლოდ მცირე რუსული ბიზნესი როდი მუშაობს. მაგალითად, „ინტერ რაო“ თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია „თელასის“ აქციების 75%-ს, ასევე ჰიდროელექტროსადგურებს „ხრამი-1“-სა და „ხრამი 2“-ს ფლობს. კიდევ რამდენიმე შედარებით მსხვილი ჰიდროელექტროსადგური ასევე რუსული ბიზნესის ხელშია. დიდი ხანია, წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ-რუსული საწარმო „გრუზროსენერგო“. ქვეყანაში მუშაობენ ასევე ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა „ლუკოილი“, „ბილაინი“, „ვნეშტორგბანკი“, „იანდექსი“ და სხვები. რუსულ კაპიტალს ეკუთვნის ასევე ძვირფასი ლითონების მომპოვებელი კომპანია „RMG Gold“. რომ აღარაფერი ვთქვათ „რუსულ ფულზე“ სასტუმრო, სამშენებლო, ღვინის ბიზნესში და სოფლის მეურნეობაში.

ერთი სიტყვით, — ასკვნის სტატიის ავტორი, — განსხვავებული შემოსავლების მქონე რუსეთის მოქალაქეები სიამოვნებით იკიდებენ ფეხს საქართველოში, რომელსაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ აქვს, თუმცა ეს არანაირად არ აისახება მათ ბიზნესსა და ყოველდღიურობაზე. რუსებს საქართველოდან არ აგდებენ და არც ბიზნესს ართმევენ. საქართველოში ცხოვრება მართლაც საამურია: აქ ყველაფერი „აქვეა“: 4 საათში თბილისიდან შავი ზღვის სანაპიროზე ხვდები, 1,5 საათში — სამთო-სათხილამურო კურორტებზე, ნაკრძალებში, მინერალურ წყაროებთან; აქ უამრავი ისტორიული ციხესიმაგრე და მონასტერია; გაოცებს ბუნების მრავალფეროვნება: ჩრდილოეთ სუბტროპიკებიდან დაწყებული, ალპური მდელოებითა და მყინვარებით დამთავრებული. მაშ რატომ არ უნდა იყიდო ესოდენ ლამაზ ქვეყანაში ბინა ან სახლი, მით უფრო, რომ ფასები აქ სრულიად ხელმისაწვდომია?! რუსები, რომლებიც აქ დაბინავდნენ ან უბრალოდ ხშირად სტუმრობენ საქართველოს, აქ ცხოვრებით მთლიანობაში, კმაყოფილები არიან.

„სამართლიანობისთვის“ ნიკოლაევი იმითაც დაინტერესდა, კმაყოფილია თუ არა თავად საქართველოს მოსახლეობა უცხოელის ქვეყანაში ხილვით და „გაარკვია“, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, საიდანაა უცხოელი, როგორ იქცევა და რამდენად „ძლიერი სუნი აქვს“ მის ფულს:

— რუსები პრობლემებს არ ქმნიან, არ გვევაჭრებიან, თავაზიანები არიან და კარგ ფულსაც იხდიანო, — ამბობენ მცირე სასტუმროების, კვების ობიექტების თუ მაღაზიების მფლობელები. რუსულ კომპანიაში მუშაობის დაწყება თითქმის ყოველთვის გამართლებად ითვლება — „ნორმალურ“ ხელფასს იხდიანო. სომხები და აზერბაიჯანელებიც აქ ნაკლებად „ჭრიან თვალს“ — ალბათ, იმიტომ, რომ ისინი აქ ტრადიციულად ბევრნი იყვნენ. აი, თურქებთან მიმართებაში კი ადგილობრივებს საყოფაცხოვრებო დონეზე აქვთ მიუღებლობა: რუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, მათ თბილისისა და ბათუმის ისტორიული უბნები ჩაიგდეს ხელში; ყველგან, სადაც ისინი დამკვიდრნენ (საცხოვრებელი სახლები, რესტორნები, მაღაზიები, კაფეები და ა.შ.), „უცხო კერძების სუნი ტრიალებს“, „უცხო მუსიკა ისმის, უცხო საუბარი“. ადგილობრივებს უცერემონიოდ ექცევიან; მოითხოვენ ბათუმში კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობას, რასაც ძირძველი ბათუმელები ენერგიულად ეწინააღმდეგებიან — „მეჩეთები აჭარაში ისედაც საკმარისზე მეტიაო“. თბილისში, ერთ-ერთ ცენტრალურ — პლეხანოვის (აღმაშენებლის) პროსპექტზე კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობაზე საუბარი არ არის, თუმცა ეს „ნეველის პროსპექტი მინიატიურაში“ თითქმის სრულად აქვს ჩაგდებული ხელში თურქულ ბიზნესს. თანაც, საქალაქო ხელმძღვანელობამ საკმაოდ წარმატებულად ჩაატარა მისი რეკონსტრუქცია. ამ ფაქტორმა, პლუს ქალაქის ამ ნაწილისადმი თურქების ლტოლვამ, საგრძნობლად ააგდო აქამდე ადგილობრივთათვის მთლიანობაში ხელმისაწვდომი ფასები და შეცვალა მათთვის ჩვეული ცხოვრების წესი — „იტალიური ეზო“, სადაც კარს არავინ კეტავდა და სამეზობლო ერთ ოჯახად ცხოვრობდა, ურთიერთგაგებასა და პატივისცემაში. თბილისის კოლორიტი წარსულს ბარდება და რა უნდა გიხაროდეს?!.

მთლიანობაში, ეს იგივეა, რაც ხშირად „ქართული მარშისა“ და სხვა მსგავსი „პატრიოტული“ ორგანიზაციების წევრთაგან თუ მხარდამჭერთაგან გვესმის. არსებობს თუ არა რაიმე კავშირი მათსა და რუსეთს შორის — შესაბამისი ორგანოების გასარკვევია. მაგრამ ნარატივი რომ თითქმის იდენტურია, ფაქტია და თუ საქართველოში გაურკვეველი წარმომავლობის პროპაგანდისტული „სააგენტოების“ მომრავლებასა და ცალკეული პერსონების გააქტიურებას გავითვალისწინებთ, ალბათ, უპრიანია, დროულად იქნას შესწავლილი, მაინც საიდან უბერავს ქარი.

„აქცენტი“

ბის გაღიზიანებას არ იწვევენ, განსხვავებით თურქებისა და ირანელებისგან, რომლებიც „საკუთარ წესებს ამკვიდრებენ“ და „თბილისსა და ბათუმს კოლორიტს აკარგვინებენ“.

— რუს ტურისტებში საქართველოს პოპულარობის ზრდა უკვე აღარავის აკვირვებს. თუმცა ის, რომ ქვეყანა „მოდური“ გახდა უძრავი ქონების შეძენის თვალსაზრისითაც, ერთი შეხედვით, უცნაურია საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში. თანაც, ცოტა თუ იძენს საქართველოში საკუთრებას მისი გაქირავებით შემოსავლის მისაღებად. რუსები აქ უმთავრესად მუდმივად საცხოვრებლად, ან ხშირი ჩამოსვლებისთვის იძენენ, ვინაიდან ბევრი საქართველოში მუშაობს, ბევრსაც ბიზნესი აქვს. ბინადრობის მოწმობის მიღება აქ ადვილია: ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს საბუთი 47 000-მა უცხოელმა მიიღო. ამასთან, უცხოელები რუსეთის მოქალაქეების ჩათვლით ინტერესს იჩენენ უკვე რაიონებში, თბილისიდან 1 სთ-ის სავალზე, ასევე სათხილამურო კურორტებზე მიწების შეძენის მიმართაც, — წერს ნიკოლაევი.

როგორც მის სტატიაშია აღნიშნული, რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველო რამდენიმე მიზეზით არის მიმზიდველი:

— უპირველესად, აქ კლიმატი ბევრად უფრო რბილია; ცხოვრების მაღალი რიტმი ეხებათ მხოლოდ მათ, ვინც გამალებული შრომობს ლუკმაპურის საშოვნელად (ქვეყანაში უმუშევრობის დონე კვლავინდებურად მაღალია). 55+ ასაკობროვი კატეგორიის რუსებისთვის საქართველო უბრალოდ იდეალური ადგილია: მოსკოვში ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავლით ან რუსული პენსიით აქ სრულიად კმაყოფილად იცხოვრებ. აქ ბევრია რუსი ბიზნესმენიც, თანაც სრულიად განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობებით. საგადასახადო სისტემა ხომ საქართველოში ისედაც საკმაოდ ლიბერალურია, ახლა კი მთავრობა მცირე ბიზნესზე საგადასახადო წნეხის კიდევ უფრო შემსუბუქების გზებს განიხილავს. ამიტომაც თუნდაც მცირე კაფეს, რესტორნის, ჰოსტელის, ტურისტული სააგენტოს ფლობის შემთხვევაშიც კი საშუალო შემოსავლის მქონე რუსეთის მოქალაქისთვის პირდაპირი ინტერესია, აქ იცხოვროს და იმუშაოს. თანაც ბინის ან მცირე სასტუმროს ყიდვა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე წლობით საცხოვრისის ქირაობა.

გიგი წერეთელი ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ პრეზიდენტად აირჩია

ბერლინში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის 27-ე ყოველწლიური სესია დასრულდა. ხუთი დღის განმავლობაში საპარლამენტო ფორუმზე 57 ქვეყნის 300-მდე დელეგატმა ეუთოს სივრცეში არსებულ გამოწვევებზე იმსჯელა და შესაბამისი რეზოლუციები მიიღო.

სესიის ბოლო დღე ბერლინის დეკლარაციის მიღებასა და ორგანიზაციის საკადრო საკითხების გადაწყვეტას დაეთმო. ფარული კენჭისყრის შედეგად, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ, პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი გიგი წერეთელი ერთი წლის ვადით პრეზიდენტად აირჩია.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის მოვალეობას გიგი წერეთელი 2017 წლის ნოემბრიდან ასრულებდა, მას შემდეგ, რაც მოქმედი პრეზიდენტის, ავსტრიის პარლამენტის წევრის კრისტინე მუტონენის პარტიამ არჩევნების შედეგად საკმარისი ხმები ვერ მიიღო.

ტაილანდი, იტალია, თურქეთი – ქვეყნები, სადაც ზაფხულში მოგზაურობა არ ღირს

ტურისტულმა სერვისმა Skyscanner-მა ჩაატარა კვლევა და დაასახელა მიმართულებები, სადაც არ ღირს მოგზაურობა ზაფხულში. ექსპერტებმა შეაფასეს ძირითადად 3 პარამეტრი, რომელიც მოქმედებს დასვენების ხარისხზე — ჰაერის და წყლის ტემპერატურა, ნალექის რაოდენობა და კურორტების ხალხმრავლობა.

შედეგად გამოვლინდა 11 ქვეყანა, რომელიც ზოგადად ძალიან მიმზიდველია ტურისტებისთვის, თუმცა ზაფხულში იქ ჩასვლა არ ღირს.

1.ემირატები

ფედერაციაში შედის 7 საემირო და ყოველი მათგანი სხვადასხვა დონეზე, მაგრამ მიმზიდველია უცხოელი ტურისტებისთვის — აბუ-დაბი, დუბაი, რას-ალ-ჰაიმა, უმმ-ალ-კუვეინი, ფუკეირა, შარჯა. საემიროები განსხვავდება ერთმანეთისგან ზომებით, თავისებურებებით, კანონებით, დასვენების ღირებულებით, ინფრასტრუქტურით და ღირსშესანიშნაობებით. თუმცა ექსპერტების აზრით, იქ არ ღირს მოგზაურობა ზაფხულში — ჰაერის ტემპერატურა დღისით იქ აღწევს 50 გრადუსს, წყლის — 40-ს. ამ ქვეყნის მონახულება ჯობია ნოემბრიდან მარტამდე, როდესაც შედარებით გრილა.

2. ეგვიპტე

ტურიზმი არის ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, ამიტომაც მთავრობა ყველანაირად უწყობს ხელს მის განვითარებას. ეგიპტე მდიდარია ანტიკური ხანის, ასევე ქრისტიანული და შუასაუკუნოვანი არაბული კულტურის ძეგლებით, ამის გარდა აქტიურად შენდება სასტუმრო კომპლექსები ზღვის სანაპიროზე — შარმ-ელ-შეიხში, ხურგადაში, და ა.შ. თუმცა, ისევე როგორც ემირატებში, ეგვიპტეშიც ზაფხულში ძალიან ცხელა. მისი მონახულება უფრო მიზანშეწონილია შემოდგომაზე და ზამთარში.

3. იორდანია

ტურისტებს იორდანიაში იზიდავს აკაბას სრუტეს პლიაჟები, მკვდარი ზღვა და სამყაროს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი — პეტრა. ასევე ქვეყანა მდიდარია ჯვაროსნული ომების დროინდელი ქრისტიანული კულტურის ძეგლებით. თუმცა ამ ქვეყნის მონახულებისთვის იდეალური სეზონია ნოემბრიდან მაისამდე, ზაფხულში იორდანიაში ძალიან ცხელა.

4. გოა, ინდოეთი

პატარა ქალაქი გოა ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთში ამ ქვეყნის მთავარი კურორტია. მდინარეები და ტბები, კუნძულები და ჩანჩქერები, სანელებლების პლანტაციები, და ნამდვილი ჯუნგლები — ეს ყველაფერი გოაა. კურორტის მიმზიდველობის მთავარი ფაქტორია 110-კილომეტრიანი საპლიაჟო ზონა, რომელიც იზიდავს მილიონობით ტურისტს მთელი მსოფლიოდან. თუმცა, ზაფხული არაა საუკეთესო პერიოდი ამ მიმართულებისთვის, რადგანაც ამ დროს გოაში მუდმივად წვიმს. კუნძულის მონახულების საუკეთესო პერიოდია ნოემბრიდან აპრილამდე.

5. ფილიპინები

ფილიპინების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობა არის ქვეყნის დედაქალაქი მანილა, რომელიც მდიდარია ისტორიისა და კულტურის ძეგლებით, განსაკუთრებით კი ესპანური კოლონიზაციის დროიდან შემორჩენილი არქიტექტურის ნიმუშებით. ტურისტებისთვის ასევე მიმზიდველია საჰაერო საფარი და ფოლკლორული დადგმები. ფილიპინები ასევე მდიდარია პლიაჟებით და კუნძულებით, სადაც განლაგებულია მსოფლიო მნიშვნელობის კურორტები.

ტურისტებს შეუძლიათ, აირჩიონ საპლიაჟო ან უფრო აქტიური დასვენება — კრუიზები, დაივინგი და სერფინგი.

თუმცა, სანამ გადაწყვეტთ ფილიპინებში დასვენებას, გაითვალისწინეთ, რომ ივნისიდან ნოემბრანდე ქვეყანაში წვიმების და ტაიფუნების სეზონია, ამიტომაც აჯობებს, ესტუმროთ ფილიპინებს სხვა დროს.

6. ტაილანდი

დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური კუთხე, სამეფო, სადაც პატივს სცემენ არა მხოლოდ საერო კანონებს, არამედ ბუდისტურ ნორმებს. ტაილანდის ცხოვრებაში ტურიზმს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა. ქვეყნის ყველა რეგიონს აქვს თავისი უპირატესობა, თუმცა, ყველაზე პოპულარული მიმართულებებია დედაქალაქი ბანგკოკი, კურორტი პატაია, და კუნძული ფხუკეტი. ტურისტებს იზიდავს ტაილანდში ლამაზი ბუნება, კოლორიტული კულტურა, და შესანიშნავი პლიაჟები. თუმცა, სანამ გადაწყვეტთ ამ ქვეყნის მონახულებას, გარკვიეთ, რომელ რეგიონში აპირებთ ჩასვლას. მაგალითად ფხუკეტი ითვლება არასასურველ ადგილად საზაფხულო დასვენებისთვის, რადგანაც ამ დროს იქ წვიმების სეზონია. თუმცა, არის სხვა პოპულარული ადგილები, მაგალითად, პოპულარული კუნძული სამუი, სადაც წვიმების სეზონია ოქტომბერ-დეკემბერში — ამიტომაც შეგიძლიათ მშვიდად ჩახვიდეთ იქ ზაფხულში.

7. კუბა

დღევანდელი კუბა უკვე არის არა მხოლოდ უბრალოდ ბევრი იაფი რომი, ქუჩის კომფორტი და ლამაზი ქალები, არამედ სწრაფად ზრდადი ინფრასტრუქტურა, საუკეთესო პლიაჟები და დაივინგი. ტურისტებს ასევე იზიდავს კოლონიალურ წარსულთან დაკავშირებული კულტურის ძეგლების დიდი რაოდენობა და ხელსაყრელი ტროპიკული კლიმატი. თუმცა, არ ღირს კუბაში ჩასვლა აგვისტოში, როდესაც იქ ხშირია ქარიშხლები.

8. სეიშელის კუნძულები

სეიშელი შედგება 115 კუნძულისგან, რომელთა შორის 43 შიდაა, 72 — გარე. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე განლაგებულია ეროვნული ტყე-პარკები და საზღვაო პარკები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სეიშელებში დიდ ყურადღებას აქცევენ გარემოს დაცვას, რაც ძალიან სასარგებლოა როგორც ადგილობრივებისთვის, ისევე უცხოელი ტურისტებისთვის, თუმცა სეიშელები არაა შესაფერისი საზაფხულო დასვენებისთვის შტორმების გამო.

9. ესპანეთი

მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი აღიარებული ცენტრი. ძირითადი ტურისტული ცენტრებია მადრიდი, ბარსელონა, კოსტა-ბრავა, კოსტა-დორადა, კოსტა-ბლანკა, კოსტა-დელ-სოლ, კაბარის კუნძულები. ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია 1,3 მლნ. ადამიანი. ესპანეთის კულტურა და არქიტექტურა საინტერესოა იმით, რომ შექმნილია ასწლეულების მანძილზე სხვადასხვა ერების მიერ, რაც ქმნის განუმეორებელ ესპანურ კოლორიტს. თუმცა, ექსპერტების აზრით, არც ესპანეთის მონახულებაა სასურველი ზაფხულში — ამის მიზეზია ტურისტების მოზღვავება, და ასევე შვებულებების სეზონი თავად ესპანეთში — ესპანელებს ძალიან უყვართ მოგზაურობა თავიანთ ქვეყანაში.

10. იტალია

იტალიის ტერიტორიაზეა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის 53 ძეგლი — მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ძველი რომის ნანგრევები, ვენეციის რომანტიკა, მთაგორიანი ტოსკანა, ალპები, ულამაზესი ბუნება, მზე, ზღვა, ჰაერი — ეს ყველაფერი — იტალიაა. კულტურული და ტურისტული თვალსაზრისით ასეთი მდიდარი ქვეყანა, რა თქმა უნდა, იზიდავს სტუმრებს მთელი მსოფლიოდან, მთელი წლის მანძილზე. თუმცა, ჯობია, მოინახულოთ იტალია შემოდგომა-გაზაფხულის სეზონზე, რადგანაც ზაფხულში თვითონ იტალიელებიც ისვენებენ ზღვაზე, და ტურისტების რაოდენობაც განსაკუთრებით დიდია, იმდენად, რომ ზოგიერთ პლიაჟზე შეიძლება ადგილიც ვერ ნახოთ.

11. თურქეთი

თურქეთში კარგადაა განვითარებული ტურისტული სერვისი და ინფრასტრუქტურა, რაც დაკავშირებულია ზღვის კურორტების და კულტურული ღირშესანიშნაობების დიდ რაოდენობასთან. ტურიზმი არის თურქეთის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელშიც დასაქმებულია 2 მლნ. ადამიანი. თუმცა, თურქეთში არ ღირს ჩასვლა რამადანის დასრულების შემდეგ (ამ წელს — 14 ივნისი), როდესაც თურქები ოჯახებთან ერთად მიდიან დასასვენებლად. ამ დროს კურორტებზე ხალხმრავლობა და სიძვირეა, ამიტომაც, უკეთესია თურქეთში ჩასვლა სექტემბერ-ოქტომბერში.

vestifinance.ru

ნატოში მხოლოდ იან სტოლტენბერგს მოვწონვარ

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ისუმრა, რომ ნატოში მის მიმართ სიმპატიას მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი იან სტოლტენბერგი გამოხატავს.

ტრამპმა ჩაატარა შეხვედრა სტოლტენბერგთან ალიანსის სამიტის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.

„ვფიქრობ, რომ ტრამპი მხოლოდ გენერალურ მდივანს მოსწონს. ის ეჭვგარეშე ერთადერთია ალიანსში, თუმცა მე ეს მაწყობს“, — განაცხადა ამერიკის ლიდერმა.

ლე პენი რუსეთს ნატოში ეპატიჟება

მემარჯვენე პარტია „ნაციონალური გაერთიანებას“ ლიდერმა მარიენ ლე პენმა განაცხადა, რომ ნატოს ტერორიზმთან ბრძოლის ახალი მისია უნდა დაეკისროს და ალიანსში რუსეთიც უნდა მიიწვიონ. **„რას ემსახურება ნატო სსრკ-ის დაშლის შემდეგ? შეგვიძლია ნატოს ახალი მისია დავაკისროთ — მისია ისლამიზმთან და ტერორიზმთან ბრძოლის და ამ მისიის ფარგლებში რუსეთი ნატოში უნდა გაწევრიანდეს“,** — წერს ლე პენი.

საბერძნეთმა ორი რუსი დიპლომატი გააძევა

საბერძნეთი 2 რუს დიპლომატს აძევებს და კიდევ 2-ს ქვეყანაში შესვლას უკრძალავს, ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი Kathimerini - დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამომცემლობის ცნობით, ეს პროცედურა არის „საბერძნეთის ტერიტორიაზე არაკანონიერი ქმედებების პასუხი, იმ ქმედებების, რომლებიც ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას გულისხმობს“. ამასთან აღნიშნულია, რომ საბერძნეთს რუსეთთან კვლავ კარგი ურთიერთობების შენარჩუნება სურს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ დიპლომატების გაძევების ფაქტს, მოსკოვი სარკისებრი რეაქციით უპასუხებს.

უკრაინელებმა „გაზპრომის“ რეიტინგი დაწიეს

უკრაინელმა ინტერნეტ მომხმარებლებმა Facebook-ზე რუსული კომპანია „გაზპრომის“ რეიტინგი დაწიეს. 10 ივლისის საღამოდან დაწყებული უკრაინელებმა „გაზპრომის“ გვერდის „1“-იანი ნიშნულით შეფასება დაიწყეს. ასევე წერდნენ კომენტარებს „დიდება უკრაინას“, „დიდება ხორვატიას“.

შედეგად, რამდენიმე საათში რეიტინგი ხუთიდან 1.5 ქულით დაეცა. გვერდის ადმინისტრატორები იძულებული გახდნენ, გაეთიშათ შეფასების ფუნქცია.



მანამდე, უკრაინელებმა ანალოგიურად დაწიეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ფიფას Facebook გვერდის რეიტინგი. მიზეზიც იყო დისციპლინური ზომები, რომლებიც ორგანიზაციამ მიიღო ხორვატი ფეხბურთელების წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში ხორვატიული გუნდის რუსეთთან გამარჯვების შემდეგ ხორვატიის ნაკრების მცველმა დომაგოი ვიდამ და ერთ-ერთმა ტრენერმა ოგნენ ვუკოევიჩმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ერთად თამაშობდნენ კიევის დინამოში, გამოაქვეყნეს ვიდეოჩანაწერი, სადაც ისინი ხმამაღლა ყვირიან — „დიდება უკრაინას“. ფიფამ ჩაატარა გამოძიება და გამოიტანა განაჩენი ვიდას და ვუკოევიჩის წინააღმდეგ ჯარიმის სახით. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ფიფას მიერ დაწესებული ჯარიმა დაეფარა, თუმცა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ „არ სურს, ვინმე ჩაითრიოს ამ სიტუაციაში“.

თარიღი: 11 ივლისი, 2018

სესხი № და სახელწოდება: არ არის განსაზღვრული: ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი

კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: **KKRP/CW/CP-01**: ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა (გვირაბი)

სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა: 29 აგვისტო, 2018, 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)

1. საქართველოს მთავრობამ აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან მოითხოვა დაფინანსება ჩრდილო-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტისათვის აღნიშნული დაფინანსების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთქმული კონტრაქტის ფარგლებში გადახდების განსახორციელებლად.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („დამკვეთი") გიწვევთ, წარმოადგინოთ დალუქული სატენდერო წინადადება ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობისათვის (გვირაბი). მშენებლობის პერიოდი შეადგენს ორმოცდარვა (48) თვეს.

3. საერთაშორისო ტენდერი ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი ერთკონვერტიანი სატენდერო პროცედურის თანახმად და მასში მონაწილების მიღება შეუძლია ყველა პრეტენდენტს, გარდა იმ პრეტენდენტებისა, რომლებზეც ვრცელდება **ITB** 4.7 -ით გათვალისწინებული შეზღუდვები.

4. უფლებამოსილი მონაწილეები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს/კრიტერიუმებს (ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები დაზუსტებულია სატენდერო დოკუმენტაციაში):

მიმდინარე სასამართლო დავა: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა ჩაითვლება გადაწყვეტილად, ზემოხსენებული დავების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მონაწილის წმინდა კაპიტალის ორმოცდაათ (50) პროცენტს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს განსხვავებას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

ფინანსური მდგომარეობა:

● მონაწილის წმინდა კაპიტალი ბოლო წლისათვის უნდა იყოს დადებითი, რაც გამოანგარიშებული იქნება სხვაობით მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

● მონაწილის მინიმალური ყოველწლიური საშუალო სამშენებლო ბრუნვა ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 130, 000,000 (ასოცდაათ მილიონ აშშ დოლარს), რაც დაანგარიშდება მთლიანი სერტიფიცირებული გადახდებიდან მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში.

● მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ სხვაობა მისთვის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებსა და ფინანსურ ვალდებულებებს შორის მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებებისათვის უტოლდება ან აჭარბებს მოცემული კონტრაქტის მოთხოვნას 22 000 000 (ოცდაორი მილიონი) აშშ დოლარს.

მშენებლობის გამოცდილება: ბოლო ხუთი (5) წლის განმავლობაში, მონაწილეობა ერთ (1) კონტრაქტში როგორც კონტრაქტორი, ერთობლივი საწარმოს პარტნიორი ან ქვეკონტრაქტორი, რომელიც მოცემულ შემოთავაზებულ სამუშაოთა მსგავსია და წარმატებით ან არსებითად განხორციელდა. აღნიშნულ მსგავს კონტრაქტებში მონაწილის წილი უნდა აღემატებოდეს 244, 000, 000 (ორას ორმოცდაოთხი მილიონ) ამერიკულ დოლარს. მონაწილის მიერ განხორციელებული მსგავსი სამუშაო შეფასდება შემდეგზე დაყრდნობით:

1. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა გვირაბებით.

მშენებლობის მინიმალური გამოცდილება შემდეგ ძირითად ღონისძიებებში:

● გვირაბის მშენებლობა კლდეში გვირაბის საბურღი (TBM) მოწყობილობის გამოყენებით, სადაც თითოეული გვირაბის სიგრძე არანაკლებ 6კმ-ია. კონტრაქტის მინიმუმ 80% განხორციელებული უნდა იყოს ბოლო 10 წლის განმავლობაში

● გზისა და რკინიგზის გვირაბების მშენებლობა გვირაბის კომბინირებული მინიმალური სიგრძით 12 კმ ბოლო 7 წლის განმავლობაში

5. დამატებითი ინფორმაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ მოგვმართოთ:

ბატონი ლევან კუპატაშვილი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12,. 0160 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 37 05 08 შიდა: 311
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის შესაძენად ინგლისურ ენაზე, მონაწილეებმა უნდა განახორციელონ შემდეგი:

● წარმოადგინონ წერილობითი მოთხოვნა სატენდერო დოკუმენტაცის მისაღებად KKRP/CW/CP-01: ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა (გვირაბი)

● მონაწილეები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ელექტრონული ფორმით, ელ-ფოსტის საშუალებით, უფასოდ. დამკვეთი არ იღებს პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისათვის, თუკი ადრესატი ვერ მიიღებს დოკუმენტაციას.

7. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ:

● შემდეგ მისამართზე;

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

● არაუგვიანეს ზემოთ მითითებული დროისა

● სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად.

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება მათი წარმოდგენის ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
მისამართი: ალ. ყაზბეგის 12.
სართული/ოთახის ნომერი: მე-2 სართული, საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB Invitation for Bids

Date:	July 11th, 2018
Loan No. and Title:	TBD: North-South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project
Contract No. and Title:	KKRP/CW/CP-01: Construction of Kvesheti-Kobi Road (Tunnel Section)
Deadline for Submission of Bids:	Date: **August 29th, 2018** Time: 16:00 hours local time

1. Georgia has applied for financing from the Asian Development Bank and European Bank for Reconstruction and Development toward the cost of the North-South Corridor (Kvesheti-Kobi) Road Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above.

2.**The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** (`the Employer~) invites sealed bids from eligible Bidders for Construction of the Kvesheti-Kobi Road (Tunnel Section). Construction period is forty-eight (48) months.

3. **Open competitive bidding** will be conducted in accordance with ADB's Single-Stage One Envelope bidding procedure. No nationality restrictions apply, other than any restrictions arising from ITB 4.7

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder's net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:

· The Bidder's net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;

· Its minimum average annual construction turnover within the last Three (3) years[1] must not be less than USD 130,000,000 (One Hundred Thirty Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and

· Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments meet or exceed the total requirement for the Subject Contract USD 22,000,000 (Twenty-Two Million United States Dollars).

Construction Experience:

Participation as a contractor, JV partner, or subcontractor, in one contract that has been successfully or substantially completed within the last 5 years and that is similar to the proposed works, where the value of the Bidder's participation exceeds USD 244,000,000.00 The similarity of the Bidder's participation shall be based on:

1. Construction of highway with tunnel(s).

Construction experience in the following key activities:

Minimum construction experience in the following key activities:

· Construction of a road tunnel in rock using Tunnel Boring Machine (TBM) with a single tube not less than **6km.** The Contract shall be at least 80% completed within last 10 years.; and

· Construction of road and/or railway tunnels with at least combined tunnel length of **12km,** constructed during last 7 years combined.

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:

Mr. Levan Kupatashvili
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To obtain the Bidding Documents in English, eligible Bidders should:

· write to address above requesting the Bidding Documents for **KKRP/CW/CP-01: Construction of Kvesheti-Kobi Road (Tunnel Section);**

· Bidding Documents will be provided in an electronic format, free of charge;

The document will be sent by e-mail. No liability will be accepted for delivery failure.

7. Deliver your bid

· to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Street address: Al. Kazbegi Avenue #12. Floor/Room number: IV Floor, Chancellery;

· on or before the deadline as specified above;

· together with a Bid Security as described in the Bidding Document.

8. Bids will be opened **immediately after the deadline** in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: II Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

◎ წინ, საქართველოვ!

ტრიუმფი ვარშავაში

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში პარამოფარიკავეთა პრესტიჟული ტურნირები მიმდინარეობს. კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ირმა ხეცურიანმა, რომელიც მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონია, ასევე, მსოფლიო თასის არაერთგზის მფლობელია.

ხეცურიანმა ამჯერადაც ბრწყინვალედ იასპარეზა ხმლით ფარიკაობაში - საკვალიფიკაციო ეტაპზე შემდეგი მეტოქეები დაამარცხა: **კალიუპი ლუფაკი** (საბერძნეთი), **ოლენა ფედორტა** (უკრაინა), **ირინა მიშუროვა** (რუსეთი) და **ქსიაო რონი** (ჩინეთი). **პლეი ოფში** ქართველმა პარამოფარიკავემ ჯერ **ელიჰ ელიჰი** დაამარცხა (ინდონეზია), შემდეგ **ნადია დოლინა** (უკრაინა), ნახევარფინალში **ტატიანა პოზნიაკი** (უკრაინა) და ფინალურ შეხვედრაში ტაილანდელი **სეისუნ იანა**. შედეგად, **ირმა ხეცურიანი** მსოფლიო თასის გათამაშების გამარჯვებული გახდა.

ვარშავაშივე გაიმართა 23-წლამდელ პარამოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც **ნინა თიბილაშვილმა** მიიღო მონაწილეობა და ხმლით ფარიკაობაში ოქროს მედალი მოიპოვა. ნინამ ჯგუფში შემდეგ მეტოქეებს სძლია: **ელისა მოლტენი** (იტალია), **სოფია მაქსიმინი** (საფრანგეთი), **სოფია ბრაუნატო** (იტალია), **ელისა ზეფერინო** (ბრაზილია), **მატილდა პრეაფიციო** (იტალია), **ამელი დიონი** (საფრანგეთი). ნახევარფინალში თიბილაშვილმა მაქსიმინს მოუგო, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში ბრაუნატოს და ოქროს მედალი მოიპოვა.

გეჟან დოლიძე

◎ სუმო

ლევან გორგაძემ ნაგოიას ბაშოზე ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ოძეკის რანგში პირველ სუპერტურნირზე მოჭიდავე ტოჩინოშინმა გუშინ იაპონელ მესამე მაეგაშირა აბის აჯობა და იმპერატორის თასისთვის ბრძოლას ასპროცენტიანი შედეგით აგრძელებს.

იოკოძუნები ჩამოიტოვა

ქართველის გარდა ოთხი ქულა მხოლოდ სეკივაკე მიტაკეუმის აქვს. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგო ლიდერთა ჯგუფში იყვნენ იოკოძუნები კაკურიუ და ჰაკუჰო, მაგრამ... კაკურიუმ წაიფორხილა მეორე მაეგაშირა იკიოისთან, ჰაკუჰომ კი ივლისის ბაშოზე გამოსვლა ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმის გამო შეწყვიტა.

დღეს ლევან გორგაძის მეტოქე პირველი მაეგაშირა კოტოშოგიკუ იქნება, რომელმაც მიმდინარე სუპერტურნირზე მხოლოდ ერთი ქულა აიღო.

რანგით მეორე ჯურიო ლიგაში გაგამარუს შიკონათი მოჭიდავე თეიმურაზ ჯულელმა მეორე მარცხი იწვნია და ორ-ორი მოგება და წაგება დაუგროვდა.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

იმერული კონტრასტები

მსოფლიოს ჩემპიონატის პარალელურად, პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირებიც დაიწყო. ქართული კვარტეტიდან ბრძოლაში პირველი იმერული დუეტი ჩაება.

ჩემპიონთა ლიგა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შერიფი“ (მოლდოვა) 2:1

მოგეხსენებათ, ტირასპოლელთა შემადგენლობაში მთელი ეპოქა შექმნა ვაჟა თარხნიშვილმა, რომელიც იქაური კლუბის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული. ქართველი ლეგიონერის დიდი დამსახურებაცაა, სტუმრებმა რამდენჯერმე პრესტიჟული ევროტურნირების ჯგუფური რაუნდიც რომ დააჭაშნიკეს და აღნიშნულ წყვილშიც ფავორიტად რომ მიიჩნევიან.

კახა ჩხეტიანის გუნდის მდგომარეობას სეზონის წინ შექმნილი ვითარებაც ამძიმებდა — ახალწვეულთა დიდმა ჯგუფმა, ბუნებრივია, შეთამაშება ვერ მოასწრო, თუმცა, არის ერთი კომპონენტი, რომელიც ბევრს გადაწონის. ესაა სპორტული ჟინი, რომელიც რაიონისპირელებს ყოველთვის ყველასაგან გამოარჩევს.

ამჯერადაც, პირველი გოლის გაშვების მიუხედავად, ქიმაძისა და კუხიანიძის (პენალტით) ძალისხმევით, ქუთათურებმა სიტუაცია გამოასწორეს და სარბიელი გამარჯვებულებმა დატოვეს — 2:1. თანაც, რაც მთავარია, ქომაგებს იმედი გაუღვივეს, რომ მორიგ ეტაპზე გავლენ.

საპასუხო მატჩი 18 ივლისს გაიმართება.

ევროპა ლიგა

„სამტრედია“ — „ტობოლი“ 0:1

სამტრედიელთა თავკაცი გია ცეცაძე გუნდში ახლახან დაბრუნდა, რაც კარგად იგრძნობოდა ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, სადაც განვითარებულ მდორე მოვლენებს ფეხბურთის გარდა ყველაფერი შეგვიძლია ვუწოდოთ.

ყაზახური კლუბის ღირსებას ჯაბა კანკავა და ნიკა კვეკვესკირი იცავენ, ამიტომ ზოგ მიამიტ გულშემატკივარს ეგონა, რომ სარბიელზე მეგობრული ზავი გაფორმდებოდა. თითქოს ყველაფერი აქეთ მიდიოდა, მაგრამ მე-4 დამატებულ წუთზე ფედინმა შორიდან ღონივრად დაჰკრა და — 0:1.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

მეტოქეა «არისი»

შვეიცარიაში გაიმართა საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის წილისყრა, რომელმაც გამოავლინა თბილისის „დინამოს“ მოწინააღმდეგე. ეს არის ბერძნული გუნდი „არისი“, რომელშიც ვიქტორ სანიკიძე თამაშობდა.



დინამოელები ჩემპიონთა ლიგაში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვებიან და ორი მატჩის ჯამში სწორედ „არისთან“ გაარკვევენ მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. კლუბი, რომელიც პირველ საკვალიფიკაციოს ვერ დაძლევს, ფიბა ევროპის თასის გათამაშებაში ჯგუფური ეტაპიდან ჩაერთვება.

შეჯიბრება 20 სექტემბრიდან დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ფინალის ზღურბლთან

უიმბლდონის ტურნირზე პირველი ნახევარფინალური წყვილი გამოვლინდა. გერმანელი ანგელიკა კერბერი ლატვიელ ელენა ოსტაპენკოს დაუპირისპირდება.

1/4-ფინალში კერბერმა რუს დარია კასატკინას 6:3, 7:5 მოუგო და კარიერაში დიდი სლემის ნახევარფინალში მეშვიდედ გავიდა. 2016 წელს მან უიმბლდონის ფინალიც ითამაშა.

ოსტაპენკომ კი სლოვაკ დომინიკა ციბულკოვას 7:5, 6:4 აჯობა. ლატვიელმა ტრადიციულად ძალისმიერი ჩოგბურთი ითამაშა და მის მეტოქეს სულ თავდაცვა უწევდა. ელენამ დიდი სლემის ნახევარფინალში მეორედ გააღწია. 2017 წელს მან საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო.

ოსტაპენკო — კერბერის შეხვედრა დღეს გაიმართება. გერმანელი და ლატვიელი ჩოგბურთელები კარიერაში პირველად დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ბადრი იაშვილი

◎ მუნდიალი-2018

სტანდარტეთი: 20 წლის შემდეგ

საფრანგეთის ნაკრებმა მორიგი კლასიკური სპექტაკლი დადგა და ღირსეულად გავიდა რუსული მუნდიალის ფინალში. როცა დიდიე დეშამის გუნდზე ვსაუბრობთ, უპირველსად იმ რეზერვს ვგულისხმობთ, რომელიც „სამფეროვანთა“ თამაშში გამოსჭვივის — შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი ნახევარი ძალით ცდილობენ მიზნის მიღწევას და თუ დასჭირდათ, უფრო მოუმატებენ. ეს რომ ასეა, ბელგიასთან ნახევარფინალმაც დაადასტურა.

საფრანგეთი — ბელგია 1:0

პირველი ტაიმი — 0:0

გოლი: უმტიტი (51-ე წუთი).

მეზობელთა განვლილ შეხვედრებში უპირატესობას ბენილუქსელები ფლობდნენ — 31 მოგება, 20 ფრე და 26 წაგება. ისინი ამჯერადაც საფუძვლიანი ამბიციებით შეებნენ მეტოქეს, მით უმეტეს, აქამდე უდანაკარგოდ ასპარეზობდნენ, მაგრამ აზარი, დე ბრუინი, ლუკაკუ და კამპანია გრიზმან-მბაპე-პოგბა-მატუიდის უფრო მაღალი კლასისა და საშემსრულებლო ოსტატობის წინაშე უძლური აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ერთმა ჩვენმა კოლეგამ საფრანგეთს სტანდარტეთი უწოდა. მიხვდით, ალბათ, რატომაც — დიახ, მან სანკტ-პეტერბურგშიც სტანდარტული სიტუაციის, ამ შემთხვევაში კუთხურის შესანიშნავად გათამაშებით გაიმარჯვა, როცა გრიზმანის ჩამოწოდებულს „ბარსელონას“ დაცვის ბურჯის უმტიტის ზუსტი თაური მოჰყვა.

ისე, უცნაური დამთხვევაა — 1998 წელს, საშინაო ტრიუმფის დროს, ბურთები მასპინძელთაგან სამმა უკანახაზელმა გაიტანა (ბლანი, ლიზარაზიუ, ტიურამი). ანალოგიური სურათია წლეულსაც (პავარი, ვარანი, უმტიტი). ყველას გემახსოვრებათ, როგორი საამაყო შედეგით დასრულდა 20 წლის წინანდელი ისტორია. საინტერესოა, გაიმეორებს თანამედროვე თაობა წინამორბედთა გმირობას?

გიორგი ზოთაძე

◎ ღირსეულის დაფასება



ეროვნული ღირებულებების დამცველი

დაფასება ჰქვია იმას, როცა პიროვნების ღვაწლს მის მშობლიურ მხარეში, ჩვენში „ოდაბადე“ რომ ჰქვია, მოწიწებითა და მადლობის სიტყვებით აღნიშნავენ.

ვახტანგ დავითაია საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორია. სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი. მრავალი საერთაშორისი კონკურსის გამარჯვებული და არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის წევრი. მისი სულიერი სამყარო, მისი შინაგანი მე და თვით მთელი მისი ცხოვრება ერთი მთლიანი გვირგვინია, რომელსაც ამაყად ატარებს მხცოვანი შემოქმედი. როგორც გალაკტიონი ბრძანებს – „დრომ მას დიადემა კრძალვით შეუხვია!..“ ამიტომაც იყო, მშობლიურმა სენაკელებმა თავი რომ მოიყარეს სახელოვანი არქიტექტორის წიგნების განხილვაზე, იმ წიგნებისა, რომლებიც დიდი ადამიანური შთაგონებითაა შექმნილი და სათუთად მოტანილი მკითხველამდე. ამ წიგნებში ჩაქსოვილია ავტორის ნიჭიერება, ინტელექტი, ერუდიცია და პროფესიისადმი უსაზღვრო სიყვარული.

მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ვწერ ისევე, როგორც ვფიქრობ, ვლაპარაკობ ისე, როგორც ვფიქრობ. მე არ მიზრუნია იმაზე, როგორ ვთქვა, ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა სიტყვასთან ჭიდილი“... თუმცა, შესანიშნავ გამოცემებში, რომელთა სათაურია „ცხოვრების ფურცლები“, ორი ტომი „ჩანაწერები“, „იაპონური დღიურები“, „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია“ და სხვა, პუბლიცისტი და მწერალი ვახტანგ დავითაია ნამდვილად ავლენს ავტორის სიტყვასთან ჭიდილის ოსტატობასა და შესაძლებლობებს.

რაიონული ბიბლიოთეკის სავსე დარბაზში საღამო გახსნა ლუიზა კემულარიამ. მან სენაკის საზოგადოებას, ვ. დავითაიას ყოფილ სტუდენტებს, მეგობრებს, მეზობლებსა და წიგნის მოყვარულებს წარუდგინა ავტორის ნაშრომები, რომლის გამოფენა წინასწარ მოაწყვეს და აღნიშნა, რომ ეს წიგნები მან უსასყიდლოდ უძღვნა ბიბლიოთეკას. აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის კედელს ამშვენებს მისივე ინიციატივითა და ხარჯებით მოწყობილი შთამბეჭდავი ბარელიეფი – „გმადლობთ, ჭაბუა!“

ღვაწლმოსილმა სენაკელმა ზაირა ფაჩულიამ მიმოიხილა წიგნები „ჩანაწერები“ და „ცხოვრების ფურცლები“ და საზოგადოებას გააცნო ფრთიანი ამონარიდები წიგნებიდან.

„ხელოვნებაში ბევრი რამაა სადავო, მხოლოდ სპორტშია ერთი სისწორე, გაიმარჯვე და მორჩა, დაიპყარი ჯომოლუნგმა და მორჩა“, „ჭიდან წყალი ვედროთი ამოიღე და არა საცრით“, „ჩემთვის კანონიერია ის, რაც გამოადგება ჩემს ქვეყანას ამ უმძიმეს დროს, ის, რაც აძლიერებს საქართველოს“... აღინიშნა ბატონი ვახტანგისა და მოქანდაკე ვაჟა მელიქიშვილის პროფესიული მეგობრობის შესახებ, რომლებმაც შექმნეს სენაკის უნიკალური მემორიალი „კუბი“.

მწერალმა ბორის დავითაიამ სიამაყით თქვა, რომ ბატონი ვახტანგი ჩვენს გვარში გამორჩეულია , რომ მშობლიურ ქალაქში მისი ინიციატივით დაპროექტდა „მემორიალი კუბი“ , „სამხატვრო გალერეა“, „გმირი წურწუმიასა და ცნობილი პოეტის ჭალადიდელის ძეგლები“ და სხვა. მან მიმოიხილა წიგნები „იაპონური ჩანაწერები“, „ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია“, რომლებშიც ავტორს განხილული აქვს 2004 წლიდან 2016 წლამდე საქართველოში აშენებული ყველა არქიტექტურული ძეგლი და გამოთქმული აქვს უაღრესად კომპეტენტური პროფესიონალური დასკვნები მათ ესთეტიკურ და მხატვრულ ღირებულებებზე. ბატონი ვახტანგი ბრძანებს: „რას ნიშნავს ეროვნულობა არქიტექტურაში – არქიტექტურული ატმოსფერო ისე უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ გრძნობდე უწყვეტ კავშირს ერის სულიერ და მატერიალურ კულტურასთან“... შეუძლებელია ამას არ დაეთანხმო.

დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა სენაკის ყოფილი მთავარი არქიტექტორი ზურაბ პატარაია, რომელმაც სიამოვნებით გაიხსენა ვ. დავითაიასთან საქმიანი ურთიერთობა და მადლობა მოახსენა მას რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენის საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის.

ვახტანგ დავითაიას გულწრფელად მიესალმნენ: ზაზა ჯანჯღავა – მხატვარი, პედაგოგი, ვახტანგის სტუდენტი და თანამშრომელი; დამირ კუჭავა – სენაკის საპატიო მოქალაქე; დამირ ზარანდია – ექიმი; ლერი კართხია – კულტურის ცენტრის წარმომადგენელი; გული კირცხალია – პოეტი; ნატო ყურაშვილი – ვ, დავითაიას დისშვილი; მარინე აბრამია – ჟ. შარტავას მუზეუმის მთავარი სპეციალისტი და ლევან უჩანეიშვილი – სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი.

ბატონმა ვახტანგ დავითაიამ ჩვეული გულითადი მადლობა გადაუხადა მშობლიური კუთხის შვილებსა და მეგობრებს, მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

აზა გარუჩავა,
სენაკი

სანთელი

აკადემიკოს ფ. თოდუას სამედიცინო ცენტრის კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლია კვიტაიშვილი-ჯღამაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ ნინო და გრიგოლ ჯღამაძეებს.

პანაშვიდი: 12, 13 VI I, დაკრძალვა: 14 VI I
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი №19.

ლიკა, აკაკი ნადარეიშვილები თანაუგრძნობენ ნინო ჯღამაძეს დედის

ლია კვიტაიშვილ-ჯღამაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნოდარი, შვილი მზია, სიძე მამუკა ადამია, რძალი თამრიკო სიჭინავა, შვილიშვილები გიგა, თამუნა ადამიები, ბექა, გვანცა გვალიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი (თამარ) იპოლიტეს ასული აბშილავა-გვალია

გამოსვენება: 15 VI I, 13 სთ. სენაკის რაიონი, კურორტი მენჯი, მაჩაბლის ქ. №5.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს

აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების 50%-იანი ფასდაკლებით გაყიდვის მიზნით.

აღნიშნული ინფორმაცია შეგიძლიათ ასევე იხილოთ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინტერნეტ გვერდზე: www.gse.com.ge
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ქალაქის – 2-510-281, მობილურის 577 240-233

მთიდან ორი ადამიანი ხევში გადავარდა, ერთი მათგანი ადგილზე დაილუპა!

უბედური შემთხვევა კურორტ „გოდერძიზე“, ე.წ. ჭანჭახის მთიდან კვადროციკლით მომავალი მთის კურორტების სააგენტოს ორი ადგილობრივი თანამშრომელი ხევში გადავარდა. ერთ-ერთი მათგანი, 25 წლის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი დაშავდა. დაშავებული ხულოს საავადმყოფოშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ავტობუსში დაჭრილი 17 წლის მოზარდი რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით 2002 წელს დაბადებული ი.პ. დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე ავტობუსის გაჩერებასთან, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის კუთვნილ, ნომერ 140-ე ავტობუსში მგზავრობისას, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 2000 წელს დაბადებულ კ.მ-ს ცივი იარაღით მუცლის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი კ.მ. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის თანამშრომლებმა სტაციონარში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან მალევე ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა, ნივთმტკიცებად ამოიღო.

მკვლელობა მესტიაში

შინაგან საქმეთა სამინისტრო მესტიაში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 11 ივლისს, ღამით, მესტიის რაიონული საავადმყოფოდან შევიდა შეტყობინება, რომ სამედიცინო დაწესებულებაში გულ-მკერდის არეში მიყენებული ჭრილობით 1993 წელს დაბადებული ლ.ფ. შეიყვანეს. დაშავებულს ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა, საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში ლ.ფ. გარდაიცვალა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 11 ივლისს, მესტიაში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ლ.ფ.-ს და მის ორ მეგობარს დაუდგენელმა პირებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ კი ლ.თ. ცივი იარაღით დაჭრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და სასჯელის სახით 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია განცხადებაში.

ნოდარ დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ არაბულად ითარგმნება



ყატარის კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელმა ფალეჰ ალ-აჯალანმა და საქართველოს ელჩმა ყატარში ნიკოლოზ რევაზიშვილმა გუშინ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოთხრობების არაბულ ენაზე თარგმნის შესახებ.

ამის შესახებ ყატარის გამოცემა „The Peninsula“ წერს.

ნოდარ დუმბაძე მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველი მწერალია. იგი 1928 წელს საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაიბადა. მან თავისი ნაწარმოებების გამო ლენინური პრემია მიიღო და სახელი გაითქვა რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გამოქვეყნებით, რომელშიც გადმოცემულია ობოლი ქართველი ბიჭის ცხოვრება ომის წლებში. სხვათა შორის, არაბულ ენაზე უკვე თარგმნილია ნოდარ დუმბაძის რამდენიმე ნაწარმოები, მაგალითად, „მე ვხედავ მზეს“ და „ნუ გეშინია, დედა“.

ყატარის კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტუროლოგიური კვლევების განყოფილების ხელმძღვანელმა მოჰამედ ჰასან ალ-ყუვარმა განაცხადა, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების არაბულ ენაზე თარგმანი იმ კომპლექსური სისტემის ჩარჩოებში მოხდება, რომელიც უწყებამ ლიტერატურული ქმნილებების სათარგმნელად დანერგა. მისი თქმით, სამინისტრომ ნოდარ დუმბაძე იმიტომ შეარჩია, რომ იგი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთ ცნობილ მწერლად ითვლება არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზეც.

როგორც მოჰამედ ჰასან ალ-ყუვარმა აღნიშნა, სამინისტროს ამ პროექტით დაგეგმილი აქვს არაბულ საზოგადოებას ქართველი მწერლის სხვა ნაწარმოებებიც გააცნოს. პროექტი ხორციელდება დოჰაში დაგეგმილი წიგნის 29-ე საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში.

შეთანხმების მიხედვით, ქართულ ენაზე ითარგმნება ყატარელ ავტორთა ნაწარმოებებიც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თურქეთში სკანდალურად ცნობილი მქადაგებელი დააკავეს

თურქეთში ისლამის მქადაგებელი, მწერალი ადნან ოკთარი დააკავეს, ის ჰარუნ იაჰია-ს ფსევდონიმითაა ცნობილი. ინფორმაციას „ანადოლუ“ ავრცელებს. ოქთარი სპეცოპერაციის დროს დაკავეს. სტამბულის პოლიციის ფინანსური დანაშაულებთან ბრძოლის განყოფილებამ ოპერაცია 5 პროვინციაში ჩაატარა და მქადაგებლის კიდევ 235 მომხრე დააკავა. დაჯგუფების წევრებს ბრალად დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ედებათ, დაჯგუფებას ბავშვებზე სექსუალური ხასიათის ძალადობა, არასრულწლოვნებთან სექსუალური კავშირი, მათი დევნა, გატაცება, შანტაჟი, სამხედრო და პოლიტიკური ჯაშუშობა, დოკუმენტების ფალსიფიცირება, ტერორიზმის შესახებ კანონის დარღვევა, ქრთამის გაცემა, და კიდევ ბევრი დანაშაული ედება ბრალად.

ტროპიკული ქარიშხლების მრისხანე სახელები

ბევრს აინტერესებს, მაინც ვინ არქმევს სახელებს ტროპიკულ ციკლონებს, რომლებმაც ბოლო წლებში უდიდესი ზარალი მიაყენეს მრავალ ქვეყანას?

სახელების დარქმევის მიზეზი მარტივია — ის მათი ერთმანეთისგან გარჩევის აუცილებლობითაა განპირობებული, „ნათლია“ კი მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციაა. უწინ ქარიშხლებს სახელს უსისტემოდ არქმევდნენ, მაგრამ მოყოლებული 1953 წლიდან გადაწყდა მათთვის ადვილად წარმოსათქმელი ქალის სახელების დარქმევა. მოგვიანებით კი მამაკაცის სახელებიც დაემატა.

ატლანტიკის ოკეანის ციკლონებისთვის არის 21 სახელის შემცველი ექვსი სია. სახელები ინგლისური ანბანის ასოებით იწყება და მიყოლებით ეძლევა სეზონის ყველა ქარიშხალს. ანალოგიური სიები დგება წყნარი ოკეანის ციკლონებისთვის, ოღონდ იქ მცენარეებისა და ცხოველების სახელებს იყენებენ.

საგულისხმო გარემოება ამ საკითხში ისაა, რომ როცა მეორე მსოფლიო ომის დროს ქარიშხლებისთვის სახელების დარქმევა ამერიკელმა სამხედრო სინოპტიკოსებმა დაიწყეს, ისინი გარკვეულ მინიშნებებს წარმოადგენდა: იმდროინდელ ტროპიკულ ციკლონებს მათი ანჩხლი ცოლებისა და სიდედრების პატივსაცემად „ნათლავდნენ“.

რას არ გაიგებ...

● **ყველაზე** მეტი შინაური ცხოველი, რომლებიც თბილისელებს ჰყავთ, ძაღლებია, შემდეგ მოდიან თუთიყუშები და კატები.

● თვალის ფერადი გარსი წელიწადში 113 ლიტრ ცრემლს გამოყოფს.

● აუარება კოღოს კბენისგან თავის დასაცავად ჩუქჩები, ასევე ციმბირის უკიდურესი ჩრდილოეთის სხვა ხალხები ტანს არასდროს იბანენ.

● დედამიწაზე ათი ათასზე მეტი სახეობის ფრინველია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმეა, კერძოდ სირაქლემები ემუ და ნანდუ, ასევე კაზუარი და კივი, რომლებსაც ფრენის უნარი არა აქვს.

● თანამედროვე ამერიკული პოპულარული მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობის ჰიპ-ჰოპის ლეგენდად აღიარებული ტუპაკ შაკუმის გარდაცვალების შემდეგ მეგობრებმა მისი ფერფლი მარიხუანას შეურიეს და მოწიეს.

● მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ 2 ათასი დოლარის ყოველთვიური შემოსავალი იმ ხალხისთვის, ვინც გამუდმებით უფულობას უჩივის, „ბედნიერების ზღვარია“, რომლის ავტომატურად გაორმაგება, გნებავთ, გაათმაგება, კაცს არც ორჯერ, არც მით უმეტეს, ათჯერ ბედნიერს აღარ ხდის.

● სირბილისას სირაქლემას ნაბიჯის სიგრძე ხუთი მეტრია, ხოლო სიჩქარე საათში 70 კილომეტრს აღწევს.

● მატერიალური კეთილდღეობის გარდა, ადამიანის ბედნიერება, ფსიქოლოგთა გამოკვლევებით, სამსახურის შოვნაზე, ზოგადად პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასა და სამოქალაქო თავისუფლებათა დონეზეა დამოკიდებული.

უფასო წყალი ვარშავის აეროპორტში

ფრედერიკ შოპენის ვარშავის საერთაშორისო აეროპორტის ტრანზიტულ ზონაში სამმა ავტომატმა განაახლა მუშაობა, საიდანაც მგზავრები წყალს უფასოდ მიიღებენ. შოპენის აეროპორტი ქვეყნის მასშტაბით პირველი აეროპორტია, რომელმაც მსგავსი მომსახურება დანერგა.

სამი ავტომატიდან ორი აეროპორტის შენგენის ზონის მგზავრების განყოფილებაშია განთავსებული, ხოლო ერთი სხვა დანარჩენი მგზავრებისთვის განკუთვნილ დარბაზში.

ავტომატიდან წყალი ყველა სტანდარტის დაცვით ისმევა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 14 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4422; ევრო - 2.8571;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2315;
100 რუბლი - 3.9008; თურქული ლირა - 0.5167;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4408;
1000 სომხური დრამი - 5.0668.

ამინდი 12 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20, დღე +41
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +36
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +37
თბილისი: ღამე +25, დღე +40

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge